ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 3 აგვისტო, 2018 №182 (7727) ფასი: 60 თეთრი

ნინო გვენეტაძე, შესაძლოა, ირინა იმერლიშვილმა შეცვალოს

გვ.3

ნინო გვენეტაძე ბიძინა ივანიშვილს გაექცა

გვ.3

დიმა ბიძინაშვილი: „ჩინოსნებმა იგრძნეს, რომ მათი დრო ამოიწურა და გარბიან“

ნაზი ჯანეზაშვილი: „ნინო გვენეტაძემ ამ ნაბიჯით თავისი სათქმელი თქვა“

გვ.2

„სასამართლო სისტემას ჩინჩალაძის კლანი მართავს“

გვ.4

„ქართულმა ოცნებამ“ ნარკობიზნესი სამართლებრივად დააკანონა

მეუფე იაკობი: „პატრიარქს სჯერა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დამნაშავეა“

გვ.2

ლევან ჩაჩუა: „მერკელი ეცდება, აზიელი და აფრიკელი ლტოლვილების დიდი ნაწილი საქართველოში დააბინაოს“

„საზოგადოების ჩართულობით საჩქაროდ შესამუშავებელია კანონმდებლობა ნარკოტიკების სფეროში“

გვ.5

გვ.5

გამოცდების ცენტრში დასაქმებული შვილ-რძალი და მიმინოშვილის არასრულად შევსებული დეკლარაცია

სამართალი გვ.7

ზაზა სარალიძე: „ლუკა კალანდიამ საგამოძიებო კომისიას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა“

სასამართლომ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

ჩხუბი კოჯრის სამხედრო ნაწილში — 2 დაჭრილ ჯარისკაცს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა

ეკონომიკა გვ.6

ბათუმის აეროპორტი, შესაძლოა, გურიის სოფელ მერიაში ან ქობულეთში გადაიტანონ

გოგიტა ცუცქირიძე: „კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტებას ბიზნესის მცირე კაპიტალი და აქტივები აფერხებს“

ყველაზე მომგებიანი ბანკები საქართველოში

ISSN 1987-9385

5 ლიეტუვამ ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შესულ პირებზე შეზღუდვები დაანესა

3 ქასპის, ქარელისა და ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატების მივლინებებისთვის გასულ წელს 34.316 ლარი დიხარჯა

6 ზოგადი უნარების გამოცდის მინიმალური ბარიერი აბიტურიენტების 13%-ზე მეტმა ვერ გადალახა

3 მიმდინარე ზაფხულს მდინარეებში, ტბებსა და ზღვაში 39 ადამიანი დაიხრჩო

ნაზი ჯანეზაშვილი: „ნინო გვენეტაძემ ამ ნაბიჯით თავისი სათქმელი თქვა“

„სასამართლო სისტემას ჩინჩალაძის კლანი მართავს“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი **ნაზი ჯანეზაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის თანამდებობიდან მოულოდნელი გადადგომის შესახებ საუბრობს.

– ქალბატონო ნაზი, ნინო გვენეტაძის გადადგომას თეა წულუკიანმა სიურპრიზი უწოდა. გია ვოლსკი კი ფიქრობს, რომ რაც უფრო მაღალ თანამდებობაზეა ადამიანი, ჯანმრთელობის პრობლემები შეიძლება უფრო აწუხებდეს. თქვენ მის გადადგომას რას უკავშირებთ და რამდენად მოულოდნელი იყო?

– ნინო გვენეტაძის განცხადება ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან ორშაბათს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სხდომა გვქონდა და ვნახე, გარკვეული საქმიანობაც დავგეგმეთ. მოულოდნელი იყო იქიდან გამომდინარეც, რომ არ მქონდა არანაირი განცდა, რომ იგი სისტემიდან წასვლას აპირებდა.

– ძალიან ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თუ რასთან შეიძლება იყოს კავშირში მისი გადადგომა. გუშინწინ უზენაესმა სასამართლომ ე.წ. ციანიდის საქმის განხილვაზე თქვა უარი და გუშინ თავად თავმჯდომარე გადადგა. რამდენად შეიძლება, ეს ბმა იყოს?

– მე ნინო გვენეტაძის გადადგომას სასამართლო სისტემაში შექმნილ ვითარებას ვუკავშირებ. ამ ნაბიჯით გვენეტაძემ თავისი სათქმელი თქვა, საბაბად კი ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა. სასამართლო სისტემაში ძალიან მძიმე ვითარებაა. ბუნებრივია, ეს ვითარება, პირველ რიგში, მას აყენებდა დარტყმას, რადგან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საკითხები ვერ გაჰქონდა. ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც მის მიერ იქნა გაჟღერებული, ბოლო მახსენდება მოსამართლეთა შეფასების სისტემა, ძალიან დიდი კრიტიკის საგანი გახდა მოსამართლეების მხრიდან. ბევრი ასეთი მაგალითი შემიძლია დაგისახელოთ. რეალურად მას არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა, ის უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ფორმალურად იყო, რეალურად კი პროცესებს მიხეილ ჩინჩალაძე მართავდა.

ამიტომ ადვილია, საზოგადოებამ დაიჯეროს, რომ გვენეტაძე მართლაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წავიდა. ვთქვათ, ყველაფერი კარგად არის და სირაქლემასავით თავი ქვიშაში ჩავრგოთ, მაგრამ ასე არ არის. მე არ მჯერა ამის. ეს უკავშირდება მთლიანად სასამართლო სისტემაში არსებულ ძალიან სერიოზულ პრობლემებს.

– რამდენიმე თვის წინ თავად თქვა, რომ ძალადობის მსხვერპლია.

– დიახ! ეს უნდა გავიხსენოთ, ეს ხომ არ არის დაკარგული ინფორმაცია, მისი ეს განცხადება ხომ არსებობს.

– რატომ ჩაიარა ამ განცხადებამ უკვალოდ?

– ნამდვილად ჩაიარა ამ განცხადებამ და არავის ეს არ გახსენებია. მართალია, სახალხო დამცველის ანგარიშში კი მოხვდა, მაგრამ რეაგირება არავის მოუხდენია, თუ რატომ გააკეთა ეს განცხადება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ. რა იყო ამის მიზეზი? როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ამბობს, რომ ძალადობის მსხვერპლია, ეს სერიოზული განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო. რეალურად უნდა გვემსჯელა, თუ რა ხდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მაგრამ არც კი ყოფილა ლოგიკური შეფასებები.

– როდესაც ამ განცხადებას აკეთებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე...

– წარმოიდგინეთ, ამ სასამართლოში მოქალაქემ როგორ უნდა იგრძნოს თავი დაცულად!

– მოსამართლეების მხრიდან არ ჰქონდა გვენეტაძეს მხარდაჭერა?

– დიახ, არ ჰქონდა. მოსამართლეთა კორპუსიდან მინიმალური მხარდაჭერა ჰქონდა. ეს მხარდაჭერა ერთეულ მოსამართლეებამდე დადიოდა. მხარდაჭერა ვერც ექნებოდა მას, რადგან სისტემას კლანი მართავს, რომელსაც თავისი ინტერესები აქვს.

მე მეშინია, რომ მომავალში, ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იქნება ის ადამიანი, რომელიც ამ კლანს მოსწონს და ამ კლანს უნდა. მე ვიქნები ერთ-ერთი პირი, რომელიც ამ პროცესში ვიქნები ჩართული და გადაწყვეტილების მიმღები, როგორც საბჭოს წევრი, მაგრამ მეშინია, ძალიან მეშინია იმის, რომ თავმჯდომარე შეიძლება გახდეს ის ადამიანი, რომელიც კლანის წარმომადგენელია. წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაში რა მოხდება, ძალიან სერიოზულ კრიზისში შეგვიყვანს.

– ძალიან ბევრს საუბრობენ ამ კლანზე. გამოდის, დღეს ჩინჩალაძის კლანმა გაიმარჯვა?

– ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პროცესები წავა. ეს უკვე პოლიტიკური პროცესია. მოქმედი კონსტიტუციით, თუ პრეზიდენტი წარადგენს ახალ კანდიდატურას და მას აირჩევს პარლამენტი, ჩინჩალაძის კლანი ვერ გაიმარჯვებს. თუ ახალი კონსტიტუციით მოხდება თავმჯდომარის არჩევა და ამ შემთხვევაში იუსტიციის საბჭო იქნება პროცესებში ჩართული, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩინჩალაძის კლანი გაიმარჯვებს, რადგან ამ კლანის მოწონების გარეშე ვერავინ, ვერც ერთი ადამიანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვერ გახდება.

– ერთ-ერთ კანდიდატურად ეკა ბესელია დასახელდა. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, საპარლამენტო უმრავლესობა ახალი კონსტიტუციის ამოქმედებას დაელოდება?

– წინასწარ ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, როგორ იმოქმედებენ. ალბათ ყველასთვის ეს იყო სიურპრიზი, მეტიც, ყველა შოკირებულია. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ ეს არის პოლიტიკური პროცესი. ახლა, პირველ რიგში, პრეზიდენტზეა დამოკიდებული, რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

– პრეზიდენტმა მარგველაშვილმა სწრაფად უნდა წარმოადგინოს ახალი კანდიდატი?

– არა, ვადები განსაზღვრული არ არის. ამიტომ მარგველაშვილს შეუძლია, დღესვე წარმოადგინოს კანდიდატი ან მერე. ვერ გეტყვით, მარგველაშვილი რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

– პრეზიდენტმა კონსულტაციები დაიწყო.

– კონსულტაციები დაიწყო, მაგრამ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, არ ვიცი. ვერანაირ პროგნოზს ვერ გავაკეთებ.

მეუფე იაკობი: „პატრიარქს სჯერა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დამნაშავეა“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის სკანდალური საქმე სკანდალურად გრძელდება. საზოგადოება რამდენიმე თვე ელოდა, რომ სინოდი ამ საქმის შესასწავლად სპეციალურ კომისიას შექმნიდა. კომისიის შექმნის გადაწყვეტილება თავად სინოდმა მიიღო.

საზოგადოება ასევე ელოდა, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მამა გიორგი მამალაძეს შეიწყალებდა. არც ერთმა მოლოდინმა არ გაამართლა, არც სინოდს დაუწყია ციანიდის საქმის შესწავლა და არც პრეზიდენტს უფიქრია დეკანოზის შეწყალებაზე.

უზენაესმა სასამართლომ ციანიდის საქმე წარმოებაში არ მიიღო. ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა მეუფე პეტრემ უზენაესის ეს გადაწყვეტილება პილატეს ქმედებას შეადარა.

მეუფე პეტრე დეკანოზის საპატიმროში ყოფნასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას პრეზიდენტს აკისრებს.

მიტროპოლიტი ამბობს, რომ მას სჯერა დეკანოზ გიორგი მამალაძის უდანაშაულობის და სინოდმა დაუყოვნებლივ უნდა შექმნას კომისია, რომელიც ციანიდის საქმეზე საზოგადოებას პასუხს გასცემს.

მეუფე პეტრე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრებსაც მიმართავს, გამოითხოვონ ეს საქმე და ჩაერთონ მის გამოძიებაში.

– მათ მოინდომეს, პილატეს მსგავსად ხელები დაებანათ და თავი აარიდეს პასუხისმგებლობას. მაგრამ, როგორც პილატეს არ მიეტევა ქრისტეს სასამართლოსაგან თავის არიდება და ის უმკაცრესად დაისაჯა, ასევე უმკაცრესად მოეთხოვებათ პასუხი ადამიანებს, რომლებმაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება და ამ შემთხვევაში ცხადად გამოჩნდა, რომ უზენაესი სასამართლო არის არსებული, სამწუხაროდ, დამნაშავე სისტემის შემადგენელი ნაწილი და არა მსხვერპლი.

წმინდა სინოდმა უკვე დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების შესაბამისად და შექმნას კომისია, რომელიც ქართველ ერს საბოლოოდ ეტყვის სიმართლეს. პარალელურად წმინდა სინოდის კომისიისა, პარლამენტში უკვე არსებული კომისია, რომელიც მოქმედებს და მუშაობს ეფექტურად, გამოითხოვოს ე.წ. ციანიდის საქმე და ჩაერთოს დიდსულოვნად ამ პროცესში. იყოს პრეზიდენტის სინდისზე ციანიდის საქმე და მამაოს მდგომარეობა, – აღნიშნა მეუფე პეტრემ.

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით მისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია უკავია ბოდბელ ეპისკოპოს იაკობს.

ის რატომღაც დარწმუნებულია, რომ დეკანოზი მამალაძე დამნაშავეა და ამბობს რომ, ამაში ეჭვი არც პატრიარქს ეპარება.

პატრიარქის ქორეპისკოპოსის თქმით, ის ადამიანები, რომლებიც დეკანოზს იცავენ, შარში გაეხვევიან.

მეუფე იაკობმა ჟურნალისტებთან დეკანოზ გიორგი მამალაძის მიერ მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებზეც ისაუბრა. ამ ბრალდების მიხედვით, მამალაძის წინააღმდეგ ბრალი სწორედ მეუფე იაკობისა და შორენა თეთრუაშვილის ინტერესების გატარებას უკავშირდება.

– ადამიანი როდესაც მატყუარაა, ყოველთვის მატყუარად დარჩება. ამაზე ყოველთვის ჭორიკნები საუბრობდნენ. ამასთან, მინდა გითხრათ, რომ თუ არ მოისვენებენ, ვინც მას იცავს, ისინიც გაეხვევიან შარში, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

ბოდბელი ეპისკოპოსის განცხადებით, მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძეს დეკანოზის სტატუსი უნდა ჩამოერთვას. მეუფე იაკობის განცხადებით, საქართველოს პატრიარქი ფიქრობს, რომ მამა გიორგი მამალაძე დამნაშავეა.

მეუფე იაკობი მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ ის დეკანოზის მონახულებას არ აპირებს.

ქორეპისკოპოსის თქმითვე, სინოდის სხდომა შემოდგომაზე გაიმართება და ერთ-ერთი განსახილველი საკითხი დეკანოზ გიორგი მამალაძის თემა იქნება. მისივე თქმით, დეკანოზ მამალაძეს დეკანოზის სტატუსი უნდა ჩამოერთვას.

– ჩვენ შემოდგომაზე შევიკრიბებით. ერთ-ერთი საკითხი იქნება გიორგი მამალაძის თემა. ეკლესიას მისი უდანაშაულობის რომ გვჯეროდეს, ჩვენ აქამდე გამოვიყვანდით მას. მოგახსენებთ იმასაც, რომ პატრიარქი ფიქრობს, რომ გიორგი მამალაძე დამნაშავეა, – აცხადებს პატრიარქის ქორეპისკოპოსი.

მამა გიორგი მამალაძის ძმა, თორნიკე მამალაძე, მიიჩნევს, რომ მეუფე იაკობმა სამების საკათედრო ტაძარში მიზანმიმართული განცხადება გააკეთა, როცა თქვა, რომ „პატრიარქი ფიქრობს, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დამნაშავეა“.

თორნიკე მამალაძის თქმით, მეუფე პირდაპირ დაემუქრა წმინდა სინოდის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მამა გიორგის უდანაშაულობაში თავიდანვე დარწმუნებული იყვნენ ან მსჯავრდებულთან შეხვედრის შემდეგ დარწმუნდნენ მამალაძის სიმართლეში.

დეკანოზის ძმა ქორეპისკოპოსის სკანდალურ განცხადებას შიშს უკავშირებს და ამბობს, რომ ილია II და სინოდის უმრავლესობა სიმართლის მხარეს დადგებიან და გამოაშკარავდება, ვინ დგას საქმის უკან.

– მეუფე იაკობის განცხადება სხვა ეპისკოპოსების დაშინებას ემსახურება. ის სხვა სასულიერო პირებს ამ მიზანმიმართული განცხადებით პირდაპირ დაემუქრა, ვინც დაიცავს დეკანოზს, მას უარესი მოუვაო. განცხადება, რომელიც მან 2 აგვისტოს სამების საკათედრო ტაძართან გააკეთა, იყო შეშინებული ადამიანის განცხადება, რომელიც თავის განაჩენს გრძნობს.

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში გააქტიურებული არიან ეპისკოპოსები. წმინდა სინოდის წევრები შედიან მამა გიორგისთან და თითოეული მათგანი შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ აცხადებს, რომ დეკანოზი არის მსხვერპლი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნინო გვენეტაძე ბიძინა ივანიშვილს გაექცა

დიმა ბიძინაშვილი: „ჩინოსნებმა იგრძნეს, რომ მათი დრო ამოიწურა და გარბიან“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება მმართველ გუნდში, რატომ დატოვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანამდებობა, რისთვის ემზადებიან ივანიშვილის ჩინოსნები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი **დიმა ბიძინაშვილი** ესაუბრება.

– ნინო გვენეტაძის გადადგომას სერიოზული მითქმა-მოთქმა მოჰყვა. საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილს არ სჯერა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანამდებობა საზღვარგარეთ მკურნალობის კურსის გავლის გამო დატოვა.

– ამ ვერსიის არც მე მჯერა. აქ რაღაც სხვა ამბავია, ან ბიძინამ მოისურვა, რომ გვენეტაძე წასულიყო და მის ადგილზე დანიშნულიყო ისეთი ადამიანი, რომელიც მისი ნდობით იქნება აღჭურვილი, ან არის მეორე ვარიანტი – „ოცნების“ ჩინოსნებმა იგრძნეს, რომ ცვლილებების დრო მოახლოვდა და ცვლილებების გარდაუვალობაში დარწმუნებულები ტოვებენ თანამდებობებს. მათ იმედი აქვთ, რომ ამის გამო მათთან ნაკლები კითხვები იქნება. ჰგონიათ, რომ თუ ახლა წავლენ, ახალ ხელისუფლებასთან სიტუაციას დაალაგებენ და დაბრუნდებიან. მგონია, რომ გვენეტაძის წასვლის მიზეზი ამ ორიდან ერთ-ერთია.

– თქვენ რომელი ვერსიის უფრო გჯერათ – ბიძინამ გაუშვა თუ თავს უშველა და თავად წავიდა?

– „ოცნებაში“ ისეთი პროცესებია დაწყებული, რომ ხალხი იქიდან გაქცევაზე სერიოზულად ფიქრობს. სავარაუდოდ, გვენეტაძეც გაიქცა. წლების განმავლობაში ის ივანიშვილის უკანონო დავალებების შემსრულებელი იყო და ამან სასამართლოს მიმართ ბევრი კითხვა გააჩინა.

სხვების მსგავსად, გვენეტაძემ გააცნობიერა, რომ მომავალში მას დაეკისრება ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა. ბიძინა არაფერზე იღებს პასუხისმგებლობას და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას როგორ აღიარებს. არადა, ყველამ იცის, რომ სასამართლო მისი ხუშტურებით იმართება.

მეტსაც გეტყვით, მან შესაძლოა გვენეტაძესა და სხვა მოსამართლეებს დააბრალოს, რომ სამართლიანობის აღდგენა ვერ უზრუნველყვეს.

მისგან ასეთი სიურპრიზი ყველა ჩინოსანს ელოდება. გასულ კვირას მისი ინტერვიუ იყო და საოცრებები ილაპარაკა. ხელისუფლებაში მოსვლიდან 6 წლის თავზე გაუგია, რომ ქვეყანაში გაჭირვება და სიღარიბეა. ისიც ახლა გაუგია, რომ 50.000 ბავშვი შიმშილობს. მისი თქმით, ეს ყველაფერი მან არ იცოდა და ამაში კვირიკაშვილ-ქუმსიშვილის დუეტია დამნაშავე.

აი, ასეთი კაცია ბიძინა. მისი ნამდვილი სახე „ქართულ ოცნებაშიც“ დაინახეს. ახლა ყველა ეცდება, თავს უშველოს, რადგანაც, როგორც უკვე გითხარით, ცვლილებები გარდაუვალია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ივანიშვილს „ოცნება“ ჩამოეშალა.

– ამბობთ, რომ „ოცნებაშიც“ დაინახეს მისი ნამდვილი სახე. ის პროცესები, რომლებიც ახლა მმართველ პარტიაში მიდის, ამის ბრალია თუ ჩვეულებრივი ამბავია?

– ის, რაც „ოცნების“ საპარლამენტო გუნდში ხდება, სერიოზული კონფლიქტია. მმართველი პარტიის წევრები ერთმანეთის ჭამაზე გადავიდნენ. ქვეყნის ჭამა აღარ ეყოთ და ერთმანეთს დაერივნენ.

ერთმანეთს იმის გამო ჭამენ, რომ რაც შეიძლება დიდი ძალაუფლება მოიპოვონ და ამის წყალობით ბევრი ფული იშოვონ.

სასაცილოც კი აღარ არის მათი შეფასებები კორუფციაზე. გვიმტკიცებდნენ, აქამდე საქართველო კორუფციის ჭაობში იყო და ახლა შეიცვალა ყველაფერიო.

კორუფციის დამარცხებით თავს იწონებენ და ის ავიწყდებათ, რომ თანამდებობიდან წასულ ლამის ყოველ მეორე ადამიანზე საქმეა აღძრული. მათ საგამოძიებო უწყებები ბიუჯეტის ფულის მოპარვას ედავებიან.

მედია, ოპოზიცია და არასამთავრობოები გამუდმებით ამბობდნენ, რომ ეს პირები კორუფციულ გარიგებებში იყვნენ, მაგრამ „ოცნება“ ამას კატეგორიულად უარყოფდა.

– კორუფციულ გარიგებებზე სერიოზულ დასკვნებს დებდა თქვენი ორგანიზაცია „მედიატორიც“. თქვენ ქუმსიშვილსა და კვირიკაშვილსაც ამხელდით, მაგრამ ამას მაშინ სერიოზულ ყურადღებას არავინ აქცევდა.

– სერიოზული ინფორმაციები გავასაჯაროვეთ ამ პირებთან დაკავშირებით. იმის ნაცვლად, რომ მათი საქმიანობის შესწავლა დაეწყოთ, ჩვენ დაგვდეს სიცრუისა და დეზინფორმაციის გავრცელება ბრალად. აფერისტებიც კი გვეძახეს.

როცა დასჭირდათ, ერთი ხელის მოსმით თავადვე დაადასტურეს, რომ ქუმსიშვილი და კვირიკაშვილი კორუფციაში იყვნენ გარეული.

– ამბობთ, რომ როცა დასჭირდათ, მაშინ თქვეს, რომ კორუფციაში იყვნენ ჩართული. ეს ამბავი ამის იქით არ წავა და ყოფილ ჩინოსნებს პასუხს არ მოსთხოვენ?

– მეეჭვება, მათ პასუხი აგებინონ. კორუფციაზეც იმიტომ დაიწყეს საუბარი, რომ იმ მომენტისთვის იყო საჭირო.

„ოცნება“ კორუმპირებულების წინააღმდეგ არაფერს მოიმოქმედებს. არც კორუფცია განელდება. ჩემი აზრით, მისი მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება.

– კორუფციის მასშტაბები რატომ გაიზრდება?

– „ოცნებაში“ ხვდებიან, რომ მათი დრო ამოიწურა. თანამდებობაზე მყოფი პირები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ. მათ ეს ფული მომავლისთვისაც სჭირდებათ.

მთელი ცხოვრება სულ ფულით ალაგებდნენ საქმეებს. ახლაც ფიქრობენ, რომ „ოცნების“ წასვლის შემდეგ ახალ ხელისუფლებასთანაც ფულით დაალაგებენ.

– დალაგებაში რას გულისხმობთ?

– ხელშეუხებლობის გარანტიების მიღებას შეეცდებიან.

– ხელშეუხებლობის გარანტიები ჩვენში ბევრჯერ და ბევრს მიუღია. დიდი ალბათობით, ისინიც მიიღებენ.

– არა მგონია. ყველა მათგანმა პასუხი უნდა აგოს თავის საქმიანობაზე. არ მინდა, ყველანი ციხეში ვიხილო, მაგრამ სახელმწიფოსთვის მოპარული ფული უკან უნდა მოვატანინოთ.

ნინო გვენეტაძე, შესაძლოა, ირინა იმერლიშვილმა შეცვალოს

ირინა იმერლიშვილი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა, შესაძლოა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე განიხილებოდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმერლიშვილი აღნიშნულ პოსტზე, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა წარადგინოს.

შეგახსენებთ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ თანამდებობა 2 აგვისტოს დატოვა.

მიმდინარე ზაფხულს მდინარეებში, ტბებსა და ზღვაში 39 ადამიანი დაიხრჩო

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 1 ივნისი – 1-ლი აგვისტოს სტატისტიკას აქვეყნებს, სადაც ნათქვამია, რომ ზაფხულის განმავლობაში

ბაში მაშველებმა მდინარეებში, ზღვასა და ტბებში 192 ადამიანი გადაარჩინეს. ხოლო მდინარეებში, ზღვასა და ტბებში 39 ადამიანი დაიხრჩო.

მდინარეში 20 ადამიანი დაიღუპა, ტბაში – 11 ადამიანი, ზღვაში კი – 8 ადამიანი.

ნიუპოსტი

კასპის, ქარელისა და ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატების მივლინებებისთვის გასულ წელს 34.316 ლარი დაიხარჯა

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო ახალ ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც IX მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შეფასების კვლევას მოიცავს 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

ანგარიშის თანახმად, მე-9 მოწვევის პირველ წელს დეპუტატები უფრო აქტიურები არიან საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენის მხრივ წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ამ უფლებით პარლამენტის 92-მა წევრმა ისარგებლა. დარჩენილ დეპუტატებს შორის აღმოჩნდნენ ქარელის, ქალაქ გორისა და თემის მაჟორიტარები. გიორგი თოთლაძეს, თენგიზ ხუბულურს და იოსებ მაკრახიძეს საკანონმდებლო ორგანოში ამ დრომდე აღნიშნული უფლებით არასოდეს უსარგებლიათ. რაც შეეხება დანარჩენ მუნიციპალიტეტებს, კასპის მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი მეზურნიშვილს მე-9 მოწვევის პარლამენტში – 11 გამოსვლა ჰქონდა, ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს, სიმონ ნოზაძეს კი 23, როგორც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა გაარკვია, 2017 წლის 18 ნოემბრიდან მიმდინარე წლის ივნისის ჩათვლით აღნიშნული მონაცემები აღარ შეცვლილა.

ანგარიშში საუბარია ასევე მოსახლეობასთან გამართულ საჯარო შეხვედრებზე.

ანგარიშში წარმოდგენილია ზეპირი მიმართვების აღრიცხვის მაჩვენებელი, პირველ ხუთეულში გორის თემის მაჟორიტარი დეპუტატი თენგიზ ხუბულური მოხვდა. მის ბიუროში აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წლის 18 ნოემბრიდან იმავე წლის დეკემბრის ბოლომდე 2071 -ით განისაზღვრა.

ანგარიშში ასახულია ასევე დეპუტატთა მივლინებების რაოდენობა და ხარჯები. ამ კატეგორიაში ქალაქ გორისა და თემის მაჟორიტარები ვერ მოხვდნენ. იოსებ მაკრახიძისა და თენგიზ ხუბულურისგან განსხვავებით, მივლინებით ორჯერ ისარგებლა ქარელის დეპუტატმა გიორგი თოთლაძემ, რაშიც 7.464.51 ლარი დაიხარჯა. ხაშურის მაჟორიტარმა სიმონ ნოზაძემ ერთხელ ისარგებლა და ამისთვის ბიუჯეტიდან 782.52 გამოიყო. კასპის მაჟორიტარმა ირაკლი მეზურნიშვილმა კი 7 ჯერ მიიღო მივლინებაზე ხელმძღვანელისგან თანხმობა, რისთვისაც 26.070.21 ლარი დაიხარჯა.

ქართლი.ge

მეუფე იაკობი: „პატრიარქს სჯერა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დამნაშავეა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მეუფე გრიგოლმა ჩემს ძმასთან შეხვედრის შემდეგ განცხადება გაავრცელა და ღიად თქვა, რომ დეკანოზი გარემოებების მსხვერპლია. დღეს კი მეუფე იაკობმა თქვა, რომ ვითომ მეუფე გრიგოლმა დაურეკა და უთხრა, მამა გიორგი დამნაშავეაო, რაც, ჩემი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან მეუფე გრიგოლი ამ საკითხსაც საზოგადოებას ამცნობდა.

ამასთან, შეგახსენებთ მეუფე ანტონის განცხადებასაც, რომელმაც თქვა, საქმის ირგვლივ კითხვები არსებობს და ამ კითხვებს აუცილებლად დავსვამთო. მეუფე იაკობი დარწმუნებულია, რომ წმიდა სინოდი მიიღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებას და გამოჩნდებიან ის ადამიანები, რომლებიც ამ საქმის უკან იდგნენ. მეუფე იაკობმა იცის, დარწმუნებულია, რომ ეს თვითონ არის და ეშინია, ამიტომ ცდილობს, ეპისკოპოსებმა სიმართლეს მხარი არ დაუჭირონ, – განუცხადა „ნიუპოსტს“ თორნიკე მამალაძემ.

თორნიკე მამალაძემ პატრიარქთან მისი ძმის ოჯახის შეხვედრაც გაიხსენა. მისი თქმით, ილია II-მ მათ უთხრა, რომ დეკანოზი მსხვერპლია.

– არსებობს პატრიარქთან ჩვენი შეხვედრის ჩანაწერი, სადაც უწმინდესი ამბობს, რომ დეკანოზი ამის გამკეთებელი არ იყო და მამა გიორგი არის მსხვერპლი. ეს ჩანაწერები შეგიძლიათ, თავადაც მოიძიოთ, სადაც გარკვევით ჩანს პატრიარქის პოზიცია და არა ის, რა სურს თავად იაკობს, რომ უწმინდესს ეს პოზიცია ჰქონდეს, – აღნიშნა თორნიკე მამალაძემ.

მეუფე იაკობის სკანდალურ განცხადებას ასე ეხმაურება მამა გიორგის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი:

– როდესაც პატრიარქს კოლეგებთან ერთად შევხვდი, გეტყვით პატრიარქის სიტყვებს, რაც მითხრა: მამა გიორგი არათუ მოიმოქმედებდა, არამედ არც კი გაიფიქრებდა ამგვარი რაღაცის გაკეთებასო, მეკითხებოდა, რა შეძლია გავაკეთო დეკანოზ მამალაძისთვისო. მაშინ უწმინდესს ვუთხარი, პირად თავდებში ჩაუდექით, თქვენო უწმინდესობავ, სანამ გამოძიება და სასამართლო პროცესები დასრულდება, ან მონასტერში იყოს, ან თქვენ გვერდით. ის არსად გამქცევი არ არის-მეთქი.

პატრიარქმა თანხმობა განაცხადა, თუმცა მეორე დღეს, ალბათ იაკობის თამადობით, გარკვეული ჯგუფი შევიდა ილია მეორესთან. შიდა კულუარებიდან მაქვს ინფორმაცია, უთხრეს, ახლა თქვენ მაგას რომ თავდებში ჩაუდგეთ, ხალხი ლინჩის წესით გაასამართლებს და მოკლავს, რადგან ხალხმა იცის, რომ მამა გიორგის თქვენი მოკვლა უნდოდაო. ასე ატყუებდნენ თავიდანვე უწმინდესს და ასე ატყუებს იაკობი პატრიარქს.

რა უნდა ამით თქვას, რომ პატრიარქის სჯერა, რომ მაგის მოკვლა უნდოდა? ღმერთმა გვაშოროს და, თუ პატრიარქის მოკვლა უნდოდა, მაშინ ბრალი შორენას მკვლელობისთვის რატომ წაუყენეს?! – ეს ახსნან.

* * *

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეუფე პეტრე დეკანოზის ციხეში ყოფნაზე პასუხისმგებლობას მას აკისრებს.

მარგველაშვილი ამბობს, რომ დეკანოზის შეწყალების შესახებ საკითხზე მსჯელობისთვის პრეზიდენტისთვის არც გიორგი მამალაძეს და არც მის ადვოკატებს არ მიუმართავთ.

– საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ბრიფინგზე არ წყდება ეს საკითხი. აქედან გამომდინარე, მე სირთულეებთან დაკავშირებით შევაჯამე უკვე ის განცხადებები, რომლებიც აქამდე გაკეთებული გვქონდა ამ საქმესთან მიმართებით. ამ დისბალანსის პარალელურად, რომელიც უკვე დავასახელე, ეს არის პოლიტიკური მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები, ეს არის საქმის შეჯიბრებითობის პრინციპის, ფაქტობრივად, არარსებობა, იქიდან გამომდინარე, რომ განცხადებები კეთდებოდა დახურული სასამართლო პროცესის თაობაზე. ამ საქმეს დღეს დაერთო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის შეფასებასაც მე არ მოვახდენ, მაგრამ, რომელიც პრობლემურია საზოგადოებისთვის. ეს არის ის ფონი, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით არსებობს. თუმცა საქმის განხილვა და საქმეზე საუბარი და დეტალური მსჯელობა, ბუნებრივია, ბრიფინგის პირობებში ვერ მოხდება, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

„ქართულმა ოცნებამ“ ნარკობიზნესი სამართლებრივად დააკანონა

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** „ახალ თაობასთან“ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მარიხუანის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას აფასებს.

– ბატონო დიმიტრი, როგორ აფასებთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც მარიხუანის ლეგალიზაციას ეხება?

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც გვევლინება კონსტიტუციური კონტროლის ორგანოდ, კატასტროფული, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი ინტერესი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ემყარებოდა მოსამართლეთა შინაგან რწმენას და ამ საკითხის მიმართ მათ რეალურ დამოკიდებულებას.

არცთუ ისე შორეულ წარსულში ლიბერალური ღირებულების მატარებელი ორგანიზაციების მიერ დაწყებულ კამპანიას, „თეთრი ხმაურის მოძრაობას“, სოროსი აფინანსებდა და იქ გახმოვანდა ნარკოტიკული საშუალების დეკრიმინალიზაციის მოთხოვნა.

როდესაც ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დეკრიმინალიზაცია მხოლოდ შირმაა და აუცილებლად გადაიზრდება ლეგალიზაციის მოთხოვნებში, მაშინ საზოგადოებაში ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ისეთი ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალება, როგორიც არის ტეტრაკანაბინოლი, რომელიც მარიხუანის შემადგენლობაშია, ფსიაქტიური ნივთიერებების პირველ ჯგუფში შედის და ძლიერი ჰალუცილოგენია, დასაშვებად, ხელმისაწვდომად და მოხმარების კუთხით ლეგალიზებულად გამოცხადდებოდა.

– არ მოელოდით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა?

– სწორედ იმის მოლოდინი იყო, რომ სოროსის ფონდი 2015 წლიდან დღემდე ათეულობით ათას ლარს ტყუილად არ ხარჯავდა. ეს არის აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილი. საუბარია იმ ფონდის დანახარჯებზე, რომელიც გასწიეს ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად, როგორებიც არის „თეთრი ხმაური“, „ალტერნატივა ჯორჯია“, საინიციატივო ჯგუფი „ბექა კრიმინალი არ არის“.

– მათი ამოცანა ეს იყო, რაც მივიღეთ?

– მათი ამოცანა იყო, თემები გადმოეტანათ ფორუმებში, ინტერნეტფორუმებიდან – ქუჩაში და გაეაქტიურებინათ ეს მოძრაობა ახალგაზრდებში. ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელიც არალეგალურად მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს, მათთვის ლეგალიზაცია ნამდვილად შეიძენდა ელექტორალური მხარდაჭერის ხასიათს. სწორედ ამაზე გათვალა პოლიტიკურმა ორგანიზაცია „გირჩმა“, რომელიც ამ დაფინანსებული შაბაშის თავში იმყოფება, რომ სწორედ ელექტორალური მიზნებისთვის განეხორციელებინა ეს საკითხი არჩევნებამდე 2-3 თვით ადრე.

ამისთვის გამოიყენეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ინსტრუმენტი, რომელმაც სამი წლის განმავლობაში ოთხი გადაწყვეტილება მიიღო. ეს არის მეოთხე გადაწყვეტილება. მანამდე საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც 100 გრამი ნედლი მარიხუანის შენახვა გამოცხადდა დეკრიმინალიზებულად.

იმავე გადაწყვეტილებით გამოცხადდა, რომ 70 გრამი მშრალი მარიხუანა ასევე ლეგალიზებული იყო. შემდგომ იყო 2017 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილება, 273-ე მუხლის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების განმეორებითი მოხმარების კალენდარული დღის განმავლობაში მომხდარიყო დეკრიმინალიზაცია.

ბოლო წერტილი, რომელსაც საზოგადოებაში არავინ მოელოდა, ტეტრეკანაბინოლის შემცველი მარიხუანის მოწევის ლეგალიზებაა. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს საკითხი გაამართლა პიროვნების თავისუფალი განვითარების კონსტიტუციური უფლებიდან გამომდინარე. თითქოს ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს აყენებს ზიანს, მას საკუთარი პიროვნული განვითარებიდან გამომდინარე, უფლება აქვს, საკუთარ თავს მიაყენოს ზიანი, როდესაც მესამე პირი არ ზიანდება. ეს არის ნონსენსი.

როდესაც საუბარია ნარკომომხმარებლებზე, ნარკომოხმარება უპირობოდ იწვევს ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლას და აღნიშნული არ არის მხოლოდ ერთი პირის პრობლემა, ვინაიდან წამალდამოკიდებული პირის მკურნალობის ხარჯები თქვენი და ჩემი ჯიბიდან დასაფინანსებელი პრობლემაა.

ნარკომოხმარება უპირობოდ იწვევს ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლას და აღნიშნული არ არის მხოლოდ ერთი პირის პრობლემა, ვინაიდან წამალდამოკიდებული პირის მკურნალობის ხარჯები თქვენი და ჩემი ჯიბიდან არის დასაფინანსებელი

როდესაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ლეგალიზებას უშვებს საკონსტიტუციო სასამართლო ამ გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ საბოტაჟს ეწევა. ამიტომ, როგორც ეკლესიის, ასევე საზოგადოების მიერ ერისა და ქვეყნის მოღალატეებად უნდა გამოცხადდნენ.

– სოროსის ფონდის გავლენასა და არასამთავრობოების დაფინანსებაზე საუბრობთ. სოროსის ფონდს საკონსტიტუციო სასამართლოზე გავლენა აქვს?

– სოროსის ფონდი არის მსოფლიოში გაბატონებული ნეოლიბერალური სამყაროს პოლიტიკურ ძალთა ინსტრუმენტი. შესაბამისად, ჩვენ მოკლებული ვართ ილუზიას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ერთობლიობამ ეს გადაწყვეტილება მიიღო შინაგანი რწმენით მიიღო.

– რატომ?

– მოსამართლეთა შინაგან რწმენას ყველა ვარიანტში ეწინააღმდეგება ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაცია.

– მაშინ რა დაინტერესება შეიძლება ჰქონოდათ?

– ეს არის ნეოლიბერალური სისტემის დაკვეთა, რომელმაც გამოიყენა საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო იმისათვის, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია დაეკანონებინათ ერთადერთი მიზნით, რომ ქვეყანაში ნარკობიზნესის ლეგალიზება მოხდეს. მოგეხსენებათ, იქ, სადაც ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია მოხდა, ისეთმა კომპანიამ, როგორიც არის, მაგალითად, „ფილიპ მორისი“, აიღო სადავეები ხელში და დაიწყო ნარკოტიკული საშუალება ტეტრაკანაბინოლის შემცველი მარიხუანის სერიული წარმოება.

ეს არის ძალიან დიდი ბიზნესი. ამ ბიზნესის განვითარებას სჭირდება სამართლებრივი სივრცე. ამ სამართლებრივ და პოლიტიკურ სივრცეს კარი გაუღო იმ პოლიტიკურმა სისტემამ, რომელიც გაბატონებულია, მათ შორის, საქართველოში. აქ არ არის მხოლოდ „ქართულ ოცნებაზე საუბარი.

– აბა, ვის გულისხმობთ?

– არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ აქ მხოლოდ „ქართული ოცნებაა“ მმართველი პარტია. აქ არის მმართველი პოლიტიკური სისტემა, რომელიც დაყოფილია რამდენიმე დიდ ძალად. ისინი ფორმალურად გაყოფილები არიან, მაგრამ ერთიანად ემსახურებიან ერთ დაკვეთას.

შესაბამისად, აქ პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი არ არის არც სასამართლო და, მით უმეტეს, ისეთი მაკონტროლებელი ორგანო, როგორიცაა საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლო მართლმსაჯულების ორგანო არ არის, კონტროლის ორგანოა. ამ კონტროლის ორგანოზე სრული კონტროლი, თავის მხრივ, გააჩნია ლიბერალურ სისტემას, რომელიც ძალიან დიდ სახსრებს ხარჯავს, რომ ინსტიტუციებს მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები მიაღებინოს, რათა ქვეყანაში უკანონო საქმიანობის სფერო ლეგალური საქმიანობის სფეროში გადავიდეს და ნარკოტიკებით ვაჭრობამ მოიტანოს ლეგალური შემოსავლები, რასაც პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩი“ არც კი მალავს.

ნეოლიბერალური სისტემის ერთ-ერთი ფლაგმანია „გირჩი“, ასევე დღევანდელი მმართველი პარტია, ნაცმოძრაობა, ევროპელი დემოკრატები და ყველა ის ძალა, რომლებიც ნეოლიბერალური ინტერნაციონალის ოჯახს წარმოადგენს – რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები და ა.შ.

– თქვენ რომ ბრძანეთ, აქციები ელექტორატზე იქნა გათვლილიო, ამ დღეებში კვლევის შედეგები გასაჯაროვდა, რომლის მიხედვით 75% მარიხუანის ლეგალიზაციის წინააღმდეგია. მაინც ვერ მოახდინეს საზოგადოებაზე სასურველი გავლენა.

– მე ელექტორალურ მიზნებში ვიგულისხმე პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩის“ ლიდერის, ბატონი ზურაბ ჯაფარიძის მანევრი, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდების ხმებზე იმუშაოს. მოგეხსენებათ, მან ასევე წამოიწყო კამპანია ახალგაზრდების სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებაზე, როდესაც შექმნა ვითომდა რელიგიური ორგანიზაცია, ვითომდა „ბიბლიური კავშირი“, რომელშიც გაწევრიანებული ახალგაზრდები გათავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან. ეს არის კიდევ ერთი საბოტაჟის სახეობა.

საქართველოს წინააღმდეგ ეს საბოტაჟი გრძელდება. მიმდინარეობს ქვეყნის დესუვერენიზაცია, დემოგრაფიული შემადგენლობის ცვლილება. ტარდება ყველა ის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელმაც საქართველოს, როგორც სახელმწიფოსა და ქართველი ერის არსებობა უნდა დაასრულოს და ის უნდა აქციოს ტერიტორიულ წარმონაქმნად.

თუ დააკვირდებით, დემოგრაფიული პოლიტიკა ამ მიმართულებით ამის ნათელი გამოხატულებაა, საიმიგრაციო პოლიტიკა ამის ნათელი დადასტურებაა. ნარკოპოლიტიკა ასევე უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართული, ტრადიციული, 2000-წლოვან კულტურაზე დაფუძნებული სახელმწიფოს არსებობა ვიღაცის ინტერესებში აღარ შედის, რადგან ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე არსებული უძველესი სახელმწიფოს ტერიტორიას განიხილავს, როგორც საკუთარი კომერციული საქმიანობის ასპარეზად და არა ჩვენი როლის სახელმწიფოს შენარჩუნების ისტორიულ ვალდებულებად.

შესაბამისად, ის, რაც ხდება, არის კარგად დაფინანსებული, კარგად სტრუქტურიზებული დანაშაულებრივი, მაფიოზური სინდიკატის გალაშქრება სახელმწიფოს წინააღმდეგ.

– შეკვეთას კონკრეტულად ვინ აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს?

– შეკვეთებს იძლევა ნეოლიბერალური სისტემა. საქართველოში გაბატონებული არიან ის ძალები, რომლებიც დღეს ნახევარ მსოფლიოს მართავენ. ეს ის ძალებია, რომლებიც დაუპირისპირდნენ ბატონი დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას მას შემდეგ, რაც ის გახდა აშშ-ის პრეზიდენტი. მოგეხსენებათ, ამ ნეოლიბერალური ძალების მედიასაშუალებები როგორ ებრძვიან დონალდ ტრამპს, რომელმაც განაცხადა, რომ მაქსიმუმ 7 წელიწადში გათავისუფლდება მსოფლიო ნეოლიბერალური სინდრომისაგან. ამ 7 წელიწადში ჩვენც ხელებდაკაპიწებულებმა უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა და ერი შევინარჩუნოთ.

– ზოგიერთები რომ ამტკიცებენ, თითქოს მარიხუანა უვნებელია?

– ეს არის საერთო კამპანიის ერთი დეტალი. გენდერული დიქტატურა, რომელიც გენდერის თეორიიდან გამომდინარეობს და მისი პრაქტიკული განხორციელება იყო ანტიდისკრიმინაციული კანონი.

სამედიცინო ექსპერტების მიერ მარიხუანის მოქმედება შესწავლილია და ყველაზე მთავარია ადამიანის გენეტიკურ სტრუქტურაზე დამანგრეველი ზემოქმედება, რომელიც იწვევს ძალიან სერიოზულ დაავადებებს ადამიანში, განსაკუთრებით, მამაკაცში, რომელიც ხდება, პრაქტიკულად, უშვილო.

– ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოუდგენია მარიხუანის მომხმარებელი გარკვეულ პოზიციებზე. სერგეენკომ განაცხადა ასევე, რომ საკონსტიტუციოს მოსამართლეებმა ჩვენი ექსპერტების დასკვნები არ მიღო. საინტერესოა, ვის დასკვნებს დაეყრდნენ მოსამართლეები, როდესაც ამ გადაწყვეტილებას იღებდნენ.

– ბატონი დავით სერგეენკო კარგი სპეციალისტი და კარგი მინისტრია. მან ძალიან კარგად იცის მარიხუანის მავნე ზემოქმედების შესახებ. ამიტომაც განაცხადა, რომ ვერ წარმოუდგენია, მთელი რიგი პროფესიის ადამიანები მარიხუანის მოხმარების შემთხვევაში ახორციელებდნენ თავიანთ მოვალეობას. როგორ შეიძლება, დაბოლილი ქირურგი ან დაბოლილი ავიადისპეტჩერი უძღვებოდეს თავის საქმეს ან ნებისმიერი პედაგოგი, რომელსაც ბავშვებთან აქვს კომუნიკაცია, იყოს დაბოლილი და ახორციელებდეს თავის საქმიანობას. ეს არის საკითხი, რომელზეც შეეძლო ემსჯელა საკონსტიტუციო სასამართლოს, მაგრამ მან ამ მსჯელობას არჩია, დაკვეთა შეესრულებინა. ეს არის უმაღლესი დონის პოლიტიკური კორუფციის გამოვლინება, რომელსაც აუცილებლად აეხდება ფარდა.

თუ უმაღლეს დონეზე არ მიიღებენ გადაწყვეტილებას მსგავსი ტიპის რეგულაციების გაუქმების თაობაზე, ეს, უბრალოდ, შეიწირავს მთავრობასა და, საერთოდ, დღევანდელ ხელისუფლებას. ეს ძალიან ძვირად დაუჯდება ყველა იმ პოლიტიკოსს, რომელიც ხელს აფარებს მათ. პრეზიდენტმა სამარცხვინო განცხადება გააკეთა, რომ თურმე უპასუხისმგებლობა ყოფილა საკონსტიტუციო სასამართლოს გაკრიტიკება მიღებული გადაწყვეტილების გამო. ასეთი პოლიტიკოსები ანადგურებდნენ საქართველოსა და მის მომავალს.

– კონსტიტუციის შეცვლა ამას უშველის?

– 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებაა საჭირო, რომ პარლამენტში შევიდეთ წინადადებით, მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება და კონსტიტუციის მე-16 მუხლში მოხდეს ცვლილება.

ბაზრების, ბაზრობებისა და ბაზრობის ტიპის საწარმოების შემოსავლებმა 151,9 მლნ ლარი შეადგინა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს ბაზრების, ბაზრობებისა და ბაზრობის ტიპის საწარმოების შემოსავლებმა 151,9 მლნ ლარი შეადგინა.

„საქსტატის“ ცნობით, ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობის უფლებისთვის (ერთჯერადი გადასახდელის სახით) გადახდილია 56,4 მლნ ლარი, რაც ბაზრობების დირექციების შემოსავლების 37,1 პროცენტს შეადგენს. 54,7 პროცენტს შეადგენს შემოსავლები სავაჭრო ფართის გაქირავებიდან, ხოლო 8,2 პროცენტი – სხვა სახის შემოსავლებს მიეკუთვნება.

გასულ წელს ბაზრობის ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების დანახარჯებმა 101,1 მლნ ლარი შეადგინა, აქედან დასაქმებულ პერსონალზე გაცემული შრომის ანაზღაურება 26,6 მლნ ლარია.

ცნობისთვის, 2017 წელს საქართველოში ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 207 ეკონომიკური სუბიექტი ფუნქციონირებდა.

ბპნ

ლევან ჩაჩუა: „მერკელი ეცდება, აზიელი და აფრიკელი ლტოლვილების დიდი ნაწილი საქართველოში დააბინაოს“

„საზოგადოების ჩართულობით საჩქაროდ შესამუშავებელია კანონმდებლობა ნარკოტიკების სფეროში“

მარიამ მჭედლიშვილი

ინტერვიუ ლევან ჩაჩუასთან

– არაერთხელ გითქვამთ, რომ გარკვეულ ძალებს უნდათ საქართველოს გადაქცევა ნარკოტიკების მოხმარებისა და პროსტიტუციის ცენტრად. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციის გადაწყვეტილება მიიღო, ამაზე ლამის მთელი საქართველო ალაპარაკდა.

– წინა წლებშიც ვსაუბრობდი იმაზე, რომ არსებობს საქართველოს ნარკო და პროსტიტუციის ტურიზმის ადგილად გადაქცევის უბინძურესი გეგმა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანის თაობაზე, რამაც სამართლიანად გაახელა საზოგადოება, მხოლოდ პირველი ნაბიჯია.

– სხვა ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციაც შედის ვინმეს გეგმებში?

– რასაკვირველია. ყველა ნარკოტიკი აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას, თუმცა, გვეუბნებიან, მარიახუანა მსუბუქი ნარკოტიკიაო. ჰოდა, ამ შეფასებითაც რომ მძიმე ნარკოტიკებად ითვლება, იმის გამოყენებასაც დააკანონებენ. გეგმაში არის პროსტუტუციის ლეგალიზებაც. ჩვენ გარშემო, მთელ რეგიონში, ეს ყველაფერი აკრძალულია, ისევე, როგორც ღამის კლუბები და სამორინეები. საქართველო ნაწილობრივ უკვე იქცა ჩვენი მეზობლებისათვის იმ ბუნაგად, სადაც თავისუფლად ითამაშებ კაზინოში, შეხვალ ღამის კლუბში, სადაც ნარკოტიკებითა და სხეულით ვაჭრობენ.

– მარიხუანის მოხმარების ლეგალიზება მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ საქართველოში მოხდა.

– ნარკოლიბერალები ამით ამაყობენ. მათი და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადამიანი თავის სხეულს, რასაც უნდა, იმას უზამს. მოწინააღმდეგეები კამათში მხოლოდ ეთიკურ, ზნეობრივ და რელიგიურ საკითხებს ეხებიან. არადა, ამ უღმერთოებთან ეს არ ჭრის! ეს გადაწყვეტილება იურიდიულადაც მცდარი და აშკარად ანტისახელმწიფოებრივია.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– სახელმწიფო ზრუნავს საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ამაზე იხარჯება დიდი თანხები ბიუჯეტიდან. ბიუჯეტი ჩვენი, ანუ გადამხდელების ფულით ივსება. თუ ვინმე განზრახ იზიანებს ჯანმრთელობას, ეს დანაშაულია. ეს იმას ნიშნავს, რომ წყალში იყრება სახელმწიფოს ძალისხმევა და გადამხდელების ფული. ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივია, როცა ვინმე განგებ ავნებს საკუთარ ჯანმრთელობას. ნურავინ შეგვაყრის თვალში ნაცარს და ნუ გვეტყვის, რომ ნარკოტიკს ზიანი არ მოაქვს! ნარკოტიკებით გაბრუებული მძღოლი, ექიმი, ინჟინერი თუ მუშა შრომისუუნაროა. ესენი კიდევ თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე გველაპარაკებიან. არავის გვინდა, რომ მარიხუანის მოწევის გამო კაცი ციხეში გაუშვან, მაგრამ მეორე უკიდურესობაში რატომ გვაგდებენ?

– გამოსავალი სად არის?

– სასწრაფოდ შესამუშავებელია ნარკოკანონმდებლობა. ამაში უნდა ჩაერთოს საზოგადოების ფართო ნაწილი საპატრიარქოს მონაწილეობით. საზოგადოებას რომ არაფერს ეკითხებიან, იმიტომ გამოიწვია ათასობით ადამიანის გულისწყრომა ამ უზნეო, იურიდიულად მცდარმა და ანტისახელმწიფოებრივმა განაჩენმა.

– ნარკოპოლიტიკის ერთი პაკეტის პროექტი დიდი ხანია, დევს პარლამენტში. იქნებ ახლაც ვერ მოხერხდეს შეთანხმება?

– უკვე ისეთი განგაშია ატეხილი, რომ ხელისუფლებას მოუწევს ხელის განძრევა და საზოგადოებასთან პოზიციების შეჯერება. ახალი კანონმდებლობა უნდა შეადგინოს არა ეკა ბესელიამ ან „თეთრმა ხმაურმა“, არამედ ფართო წარმომადგენლობამ. საკონსტიტუციო სასამართლოს იმ ოთხი მოსამართლის ადგილზე ყოფნას კი მტერს არ ვუსურვებ. მათ სამუდამოდ დაისხეს თავზე ლაფი. ხელისუფლებას კიდევ ერთი უდიდესი პრობლემის გადაწყვეტა მოუწევს. აქაც საქმე ეხება საქართველოს ყოფნა-არყოფნას.

„იმ ოთხი მოსამართლის ადგილზე ყოფნას მტერს არ ვუსურვებ“

– რამე ახალი საფრთხე გვემუქრება?

– საქართველოს შესთავაზებენ ლტოლვილების მიღებას.

– ამაზე ზუსტი ინფორმაცია გაქვთ?

– სარწმუნო ინფორმაცია მაქვს. ყველამ იცის, რომ საქართველოში ჩამოდის გერმანიის კანცლერი. მერკელი ეცდება, რომ აზიელი და აფრიკელი ლტოლვილების დიდი ნაწილი საქართველოში დაბინავდეს. ამ დროს ჩვენს ემიგრანტებს ისევ აძევებენ გერმანიიდან. დღესაც მომწერეს ემიგრანტებმა, რომ 51 ქართველის დეპორტაცია მოხდა გერმანიიდან. ანგელა მერკელმა თავისი უგუნური პოლიტიკით გერმანიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებს თავისტკივილი გაუჩინა და ახლა უნდა, ლტოლვილები ევროკავშირის გარეთ, ჩვენნაირ ქვეყნებში დაბინაოს. ეს მოხდება კონტრიბუციის სანაცვლოდ. საქართველოს ამაში ფულს შესთავაზებენ, მაგრამ რის სანაცვლოდ? გვიღირს ასეთი თანხები? ჩვენი დევნილები ვერ დაგვიბრუნებია. 300.000 აფხაზეთიდან დევნილს ბოლო წლებში დაემატნენ ცხინვალის რეგიონიდან გამოდევნილები. მთლიანობაში, მათი რიცხვი ნახევარ მილიონამდეა.

– ხელისუფლება ამას დათანხმდება?

– ჩვენი მარიონეტი ხელისუფლებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. მათი კონტროლირებადი ტელევიზიები ყველაფერს ლამაზად შეფუთავენ და საზეიმოდ გვამცნობენ, რომ ევროკავშირი და გერმანია საქართველოს ეხმარებიან, მთავარ პრობლემას კი მიჩქმალავენ. ობიექტური და სახელმწიფოებრივ პოზიციაზე მდგომი „ახალი თაობის“ საშუალებით მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას, არ დათანხმდეს ამ დამანგრეველ წინადადებას! წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი დიდი რაოდენობით გამოვა ქუჩაში და კომბლეებით ჩამოაგდებს ანტისახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. ანგელა მერკელმა თავისი არასწორი საიმიგრაციო პოლიტიკით დაკარგა საკუთარი ხალხის ნდობა და გაინახევრა რეიტინგი. ის არ უნდა გვახვევდეს თავზე ინტერესებს. ზოგადად, ევროპა გარკვეულ ვალშია თავისი ყოფილი კოლონიების წინაშე. ბევრი ქვეყანა ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში იყო საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიისს და სხვების კოლონია. კოლონიზატორები იტაცებდნენ მათ ბუნებრივ სიმდიდრეს და ადამიანებით ვაჭრობდნენ. მათ გარკვეული დახმარება უნდა გაეწიათ ლტოლვილებისათვის. საქართველო არც სხვა ქვეყნების ადამიანებით ვაჭრობდა და არც სხვის მიწებს იტაცებდა. ჩვენი გოგო-ბიჭები სტამბოლის ბაზარზე იყიდებოდნენ დამპყრობლებისა და ჩვენივე უზნეო ქართველების ხელით. სხვების წინაშე საქართველოს ვალდებულება არ აკისრია. ჩვენ უამრავი პრობლემა გვაქვს და დამატებით ლტოლვილებს, თუნდაც, კომპენსაციით, ვერ მივიღებთ.

გამოცდების ცენტრში დასაქმებული შვილ-რძალი და მიმინოშვილის არასრულად შევსებული დეკლარაცია

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აცხადებს, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა ქონებრივი დეკლარაცია არასრულად შეავსო. კერძოდ, დოკუმენტში არ არის მითითებული მისი ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული ქონება და მათივე სამეწარმეო საქმიანობა. ამასთან, წლების განმავლობაში მიმინოშვილის უწყებაში მისი ოჯახის წევრები კონკურსის გარეშე იყვნენ დასაქმებული, რაც კანონმდებლობის დარღვევაა.

ქონება და ბიზნესსაქმიანობა, რომელიც დეკლარაციაში არ არის მითითებული

TI-ის ცნობით, მაია მიმინოშვილს 2017 წლის 31 აგვისტოს შევსებულ დეკლარაციაში არ არის აღნიშნული, რომ მიმინოშვილის (მასთან მცხოვრები) შვილი ალექსანდრე ყანჩაველი ფლობდა 14%-იან წილს შპს „არქი დეველოპმენტში“. აღნიშნულ კომპანიაში ყანჩაველი წილის მფლობელი იყო კომპანიის დაფუძნებიდანვე – 2013 წლის 25 თებერვლიდან, თუმცა მაია მიმინოშვილს ამის შესახებ არცერთ დეკლარაციაში არ მიუთითებია. ალექსანდრე ყანჩაველმა აღნიშნული წილი 140 ათას ლარად ირაკლი ქაფიანიძეს 2017 წლის 30 იანვარს მიყიდა.

– მიმინოშვილის ოჯახის წევრის კავშირი აღნიშნულ კომპანიასთან მით უფრო საყურადღებოა, რომ „არქი დეველოპმენტის“ კიდევ ერთი მეწილე (59%) საქართველოს პარლამენტის წევრი მმართველი პარტიიდან ივლიანე წულაია და დირექტორი თენგიზ წულაია „ქართული ოცნების“ მსხვილი შემწირველები არიან: ივლიანე წულაიამ 2016-2017 წლებში მმართველ გუნდს 110.000 ლარი, თენგიზ წულაიამ კი 2016 წელს 50.000 ლარი შესწირეს, – აცხადებს TI.

ორგანიზაციისვე ცნობით, მაია მიმინოშვილის ბოლო ქონებრივ დეკლარაციაში არ არის აღნიშნული კიდევ ორი გარემოება – გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის დირექტორის რძალმა, ქეთევან მიქელაიშვილმა (რომელიც, ასევე, მასთან ერთად ცხოვრობს) 2016 წლის 12 დეკემბერს თბილისში, მუხიანის დასახლებაში, მშენებარე კორპუსში 60 კვადრატული მეტრის ფართობი შეიძინა. ამასთან, მიქელაიშვილი 2016 წლის 8 დეკემბერს რეგისტრირებული შპს „კთ“-ს დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელია.

მაია მიმინოშვილის ოჯახის წევრები გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში

როგორც TI წერს, მაია მიმინოშვილის ქონებრივი დეკლარაციების თანახმად, 2009-2012 წლებში რძალი – ქეთევან მიმინოშვილი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის თანაშემწედ მუშაობდა, ხოლო 2014-2016 წლებში მიმინოშვილის შვილი – ალექსანდრე ყანჩაველი ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას ბათუმის საგამოცდო ცენტრის კოორდინატორი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტზე განთავსებული მონაცემების თანახმად, მაია მიმინოშვილის არც რძალი და არც შვილი თანამდებობაზე კონკურსის წესით არ შერჩეულან. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ ცენტრის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, ალექსანდრე ყანჩაველს ბათუმის საგამოცდო ცენტრის კოორდინატორად გამწესებამდე ტრენინგები და გასაუბრება ჩაუტარდა, ხოლო ქეთევან მიქელაიშვილი არასაშტატო თანამდებობაზე მუშაობდა.

– მაია მიმინოშვილი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი, კანონმდებლობის თანახმად, თანამდებობის პირად ითვლება. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის“ მე-13 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, არ შეიძლება თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე მოხელედ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ან შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნოს (გარდა კონკურსის წესით დანიშვნისა) ამ თანამდებობის პირის ახლო ნათესავი, – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, შეისწავლონ როგორც მიმინოშვილის მიერ დეკლარაციის არასრულად შევსების, ისე მისი ოჯახის წევრების საგამოცდო ცენტრში უკონკურსოდ დასაქმების კანონიერება.

ნეტგაზეთი დაუკავშირდა გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს, სადაც გვითხრეს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს ცენტრის დირექტორი ჯერჯერობით არ აკეთებს.

ნეტგაზეთი

ლიეტუვამ ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შესულ პირებზე შეზღუდვები დააწესა

ფოტოზე ლიეტუვას საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩიუსი ფოტოზე ლიეტუვას საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩიუსი

ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შესულ პირებზე შეზღუდვები დააწესა. საუბარია პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებში მონაწილეობდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის რეზოლუციისა და საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე მან მიმართა ლიეტუვის მიგრაციის დეპარტამენტს, რათა ლიეტუვის რესპუბლიკამ ზემოაღნიშნულ სიაში დაფიქსირებულ პირებზე შეზღუდვები გაავრცელოს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ 2018 წლის აგვისტოში სრულდება 10 წელი რუსეთის აგრესიიდან საქართველოს წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია მოახდინა და საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია. განცხადებაში დაფიქსირებულია, რომ დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე გიგა ოთხოზორიას და არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობებს, ხოლო ქართულ სამართალდამცავ სტრუქტურებს ხელს უშლიან სამართლის დადგენაში. ასევე აღნიშნულია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანთა გატაცებების, მკვლელობების და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შეფასებულია, როგორც ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ნორმათა დარღვევად.

ლიეტუვა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შექმნას ყველა სათანადო პირობა სამართლიანობის უზრუნველსაყოფად და ყველა არასამართლებრივი ქმედების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს პარლამენტმა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ რეზოლუცია 21 მარტს მიიღო. სიაში 33 კაცია შეყვანილი, რომლებმაც 1991 წლიდან დღემდე ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების მიმართ სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს. სიის გამოქვეყნების შემდეგ, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მთავრობა და პირადად პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე დაადანაშაულა დესტრუქციულ და პროვოკაციულ ქმედებაში, რომელსაც შეუძლია მთლიანად დაანგრიოს ჟენევის დისკუსიის მუშაობა. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, პეტრე გასიევმა კი განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი საკუთარ სასანქციო სიას ამზადებს და მას წლის ბოლომდე მიიღებს.

ნეტგაზეთი

გოგიტა ცუცქირიძე: „კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტებას ბიზნესის მცირე კაპიტალი და აქტივები აფერხებს“

ბიზნესის დაკრედიტების ტემპი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაბალია. ეროვნული ბანკის სტატისტიკა აჩვენებს, რომ 1 ივლისის მდგომარეობით ბიზნესდაკრედიტების შეფარდება ეკონომიკაზე გაცემულ მთლიან სესხებში 44%-ია. ბიზნესსეხების მოცულობამ იანვარ-ივნისში 9.8 მლრდ ლარი შეადგინა, მთლიანმა დაკრედიტებამ კი – 22,3 მლრდ ლარი.

რატომ არის ბიზნესის დაკრედიტება დაბალი, ამ თემაზე „კომერსანტი“ ბანკების ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორ გოგიტა ცუცქირიძეს ესაუბრა.

გოგიტა ცუცქირიძის შეფასებით, ბიზნესის დაკრედიტების პრობლემა მცირე კაპიტალი და აქტივებია. მისი თქმით, კომერციულმა ბანკებმა ბიზნესსესხებზე საპროცენტო განაკვეთები დასწიეს, მაგრამ სიტუაციას ვერც ამან უშველა, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს მცირე კაპიტალი:

– ბიზნესს ბანკიდან სესხის ასაღებად დამატებითი გარანტიების წარმოდგენა სჭირდება, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია უძრავი ქონების დაგირავება. ბიზნესი სესხს მხოლოდ ამ შემთხვევაში იღებს. ეს კი მაღალი სოციალური და ეკონომიკური რისკის მატარებელია, რადგან მსესხებლის გაკოტრების და გადახდის უუნარობის შემთხვევაში, ბანკში ჩადებული ქონების დაკარგვა ხდება. ბანკებს აქვთ სპეციალური პროგრამები მცირე ბიზნესის დასაკრედიტებლად და ფულს საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდანაც იზიდავენ, მაგრამ ეს ვითარებას ვერ ცვლის, რადგან პრობლემა საგარანტიო მექანიზმების არქონას უკავშირდება.

ეროვნული ბანკის სტატისტიკა აჩვენებს, რომ შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მოცულობა 56%-ს შეადგენს, სადაც ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შეფარდება მთლიან სესხში 51.6%-ია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფიზიკურ მეწარმე პირებზე გაცემულმა სესხებმა 2018 წლის პირველ ნახევარში 1.4 მლრდ ლარი შეადგინა და სასესხებო პორტფელში 6.8%-დან 6.02%-მდეა შემცირებული.

გოგიტა ცუცქირიძის შეფასებით, ბიზნესსესხების პორტფელის შემცირება 8 წლის წინ დაიწყო:

– 2010 წელს სესხების ჯამური მოცულობა 5.5 მლრდ ლარი იყო, მთლიან სესხებში ბიზნესსესხების მოცულობა 3.3 მლრდ ლარს შეადგენდა. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბიზნესსესხების წილი მთლიან პორტფელში 60% იყო. შემდეგ ამ პროპორციამ ცვლილება განიცადა, საცალო დაკრედიტების ხვედრითი წილი გაიზარდა და, სამაგიეროდ, ბიზნესსესხები შემცირდა, – ამბობს ცუცქირიძე.

ცუცქირიძის ინფორმაციით, 2012 წელს 8.2-მილიარდიან სასესხო პორტფელში ბიზნესდაკრედიტების მოცულობა 4.7 მლრდ ლარს გაუტოლდა, რამაც პროცენტულად 5% შეადგინა;

2015 წელს 12.4-მილიარდიან პორტფელში ბიზნესსესხების თანაფარდობა 6.3 მლრდ ლარი იყო, ანუ 51%-მდე შემცირდა. 2017 წელს 21.3-მილიარდიან პორტფელში ბიზნესსესხების მოცულობა 9.5 მლრდ ლარი იყო, ხვედრითმა წილმა 44.6% შეადგინა. ამ დროს გაიზარდა შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მოცულობა 55.6%-მდე. გოგიტა ცუცქირიძის შეფასებით, საცალო დაკრედიტების ბუმი საცალო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის ზრდამ გამოიწვია.

კომერსანტი

ყველაზე მომგებიანი ბანკები საქართველოში

ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების 2018 წლის მეორე კვარტლის ფინანსური მაჩვენებლები გამოაქვეყნა.

საანგარიშო პერიოდში ექვსი ყველაზე მომგებიანი ბანკის წმინდა მოგებამ ჯამში 384,336,287 ლარი შეადგინა. მთლიანად საბანკო სექტორის მოგება კი 413,023,047 ლარი იყო.

ანგარიშგებების მიხედვით, ყველაზე მეტი მოგება „თიბისი ბანკმა“ მიიღო, რომლის წმინდა მოგებამაც საანგარიშო პერიოდში – 182,979,175 ლარი; დარეზერვებამდე წმინდა მოგებამ 293,278,899 ლარი შეადგინა; მის მიერ გადახდილმა მოგების გადასახადმა კი – 37,974,122 ლარი.

მას მოსდევს „საქართველოს ბანკი“, რომელმაც მე-2 კვარტალში 114,318,235 ლარის ოდენობის წმინდა მოგება მიიღო. დარეზერვებამდე წმინდა მოგებამ 264,795,410 ლარი შეადგინა. ხოლო მოგების გადასახადის სახით, როგორც ანგარიშებიდან ირკვევა, ბანკს არაფერი გადაუხდია.

29,903,008 ლარიანი წმინდა მოგებით ჩამონათვალში მესამე ადგილზეა – „ლიბერთი ბანკი“; ხოლო მე-4 და მე-5 პოზიციებს რეიტინგში „ვითიბი ბანკი“ და „ბაზისბანკი“ იკავებენ. შესაბამისად, მათმა წმინდა მოგებამ გასული წლის მონაცემებით, 25,682,039 და 15,883,837 ლარი შეადგინა.

„ბაზისბანკს“ მცირედით ჩამორჩება „პროკრედიტ ბანკი“, რომლის წმინდა მოგებამაც საანგარიშო პერიოდში 15,569,993 ლარი შეადგინა, სხვა კომერციული ბანკების წმინდა მოგება კი ამ ექვსთან შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავებულია და მცირეა.

2018 წლის მეორე კვარტალში ბაზარზე სულ 16 კომერციული ბანკი ოპერირებდა.

ბან

ბათუმის აეროპორტი, შესაძლოა, გურიის სოფელ მერიაში ან ქობულეთში გადაიტანონ

გაუქმდება თუ არა საერთაშორისო აეროპორტი ბათუმში? – აჭარის ტელევიზიის ინფორმაციით, ამ საკითხზე აჭარის მთავრობაში მსჯელობა დაწყებულია.

ტურისტულ ქალაქში არსებული აეროპორტის ალტერნატივად განიხილება აეროპორტის გახსნა გურიის სოფელ მერიაში, ყოფილი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე ან ქობულეთში.

– ეს იყო ინიციატივის დონეზე წინადადება. ვთვლი, რომ აეროპორტის მხარეს ბათუმში ძალიან მნიშვნელოვანი საინვესტიციო პოტენციალია და სწორედ აეროპორტის არსებობის გამო ვერ ხდება მისი ათვისება. აეროპორტის გადატანის შემთხვევაში კი ექნება განვითარების პერსპექტივა. ამავდროულად, განვითარდება ქობულეთიც და ბათუმიც, – განუცხადა აჭარის ტელევიზიას უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“ ცოტნე ანანიძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე კი აეროპორტის გადატანაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის შემდეგ მიიღებს.

– კონცეპტუალურად საკითხი დაყენებულია და, რა თქმა უნდა, ტექნიკურ- ეკონომიკური შესწავლის შემდეგ შეგვიძლია უფრო დეტალურად ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ და შემდგომ მივიღოთ გადაწყვეტილებები, – აცხადებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე.

რაც შეეხება ბათუმის სანაპიროს, ანუ იმ ადგილს, სადაც აეროპორტია მოწყობილი, იმ ტერიტორიის საინვესტიციოდ მომზადება იგეგმება.

კომერსანტი

ფარმაცევტულმა კომპანია „ინნოვასიმ“ მზა წამლების წარმოება გადადო

2015 წელს გახსნილმა ფარმაცევტულმა კომპანია „ინნოვასიმ“ ახალი ქარხნის მშენებლობა გადადო. ქარხანა მზა ფორმის მედიკამენტებისწარმოებაზეიქნება ორიენტირებული. ამ დროისთვის „ინნოვასი“ იმ ნივთიერებებს აწარმოებს, რომლებსაც მედიკამენტების წარმოებაში ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია აქვს.

კომპანია „ინნოვასის“ ხელმძღვანელი დავით ებრალიძე „კომერსანტთან აცხადებს, რომ ამ დროისთვის კომპანიის პრიორიტეტი არსებული საწარმოს ფარგლებში მედიკამენტების ინგრედიენტების წარმოება და მათი ექსპორტია.

მისი თქმით, კომპანიას უკვე შეძენილი აქვს მიწის ნაკვეთი. ინვესტიციის ოდენობა კი დაახლოებით 6 მილიონი ევროთია განსაზღვრული. როგორც „ინნოვასის“ ხელმძღვანელი აცხადებს, კომპანია მზა წამლების წარმოების დაწყებას 2019 წლისთვის გეგმავს.

მისი ინფორმაციით, ამ დროისთვის უკვე გამზადებულია პროექტი. ებრალიძე აცხადებს, რომ მედიკამენტები წარმოებული იქნება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ბაზრებისთვის. ებრალიძის ინფორმაციით, ამ დროისთვის კომპანია წარმოებული პროდუქციის 80 პროცენტს რუსეთში ყიდის. ექსპორტიორ ქვეყნებს წარმოადგენენ უკრაინა, ყაზახეთი. მისივე განცხადებით, საფრანგეთში და ბელგიაში გაგზავნილია ნიმუშები, დაიწყება სკრინინგი და ოქტომბრის ბოლოს შედეგები გახდება ცნობილი. დადებითი დასკვნის შემდეგ შესაძლოა ქართული პროდუქცია ევროპულ ბაზარზეც შევიდეს.

საწარმო 2015 წელს, თბილისში, ლილოს დასახლებაში გაიხსნა. ინვესტირებულია დაახლოებით 4.5 მილიონი დოლარი და ის პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსდა. აქედან „თიბისი ბანკის“ სესხი 2 მილიონ დოლარს შეადგენს.

კომერსანტი

ელექტროავტომობილების მძღოლებისთვის ტაქსის ნებართვის მიღება 2030 წლამდე უფასო იქნება

ტაქსით მომსახურების ნებართვის მიღება შეუძლია ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს მართვის მოწმობა და სურს ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადაყვანა ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც, მძღოლის სავარძლის გარდა, არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილი აქვს.

ნებართვის მისაღებად აუცილებელია ელექტრონული განცხადების შევსება ვებგვერდზე www.taxi.tbilisi.gov.ge

აღსანიშნავია, რომ ტაქსით მომსახურების ერთწლიანი ნებართვის მისაღებად, ჩვეულებრივ ავტომობილებზე მძღოლი იხდის 100 ლარს, ჰიბრიდული ავტომობილის შემთხვევაში 50 ლარს, ხოლო ელექტროძრავიანი ავტომობილის ყოლის შემთხვევაში ნებართვა უფასოა.

კერძოდ, როგორც „ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის,

ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესშია“ აღნიშნული, ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია, ტაქსის ნებართვის ფასის გადახდისგან, 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არის გათავისუფლებული.

ბან

ზოგადი უნარების გამოცდის მინიმალური ბარიერი აბიტურიენტების 13%-ზე მეტმა ვერ გადალახა

ზოგადი უნარების გამოცდის მინიმალური ბარიერი აბიტურიენტების 13%-ზე მეტმა ვერ გადალახა.

ამის შესახებ ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელმა სოფო დოლიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, მხოლოდ ერთმა აბიტურიენტმა აიღო უმაღლესი – 80 ქულა.

– ტესტის სხვადასხვა ვერსიის სირთულე მერყეობს საშუალო ფარგლებში. გვაქვს ვარიანტი, რომელიც საშუალოზე მარტივიც არის, ესაა მესამე ვარიანტი. საშუალოზე ცოტა რთული ვარიანტია მეორე. 13%-ზე ცოტა მეტია ისეთი, რომელმაც ზღვარი ვერ გადალახა. ისინი, სამწუხაროდ, კონკურსს გამოეთიშებიან. ვერსიებს შორის მინიმალური ბარიერები ასეთია: მესამე ვარიანტი – 24 ქულა, პირველი და მეოთხე ვარიანტი – 23 ქულა, მეორე ვარიანტი – 22 ქულა, – განაცხადა სოფო დოლიძემ.

მისივე თქმით, აბიტურიენტები, რომლებმაც რთული ვარიანტი დაწერეს, არ დაიჩაგრებიან, რასაც სკალირების პროცედურა უზრუნველყოფს.

– იმისათვის, რომ არ დაიჩაგრონ ის აბიტურიენტები, რომლებმაც შედარებით რთული ვერსიები შეასრულეს, ჩვენ მერე უკვე სკალირების პროცედურას მივმართავთ. სკალირების პრინციპი არის ის, რომ ჩვენ ქულებს მაქსიმალურად ვათანაბრებთ ერთმანეთთან. ასე, რომ ამ თვალსაზრისით აბიტურიენტებმა არ უნდა ინერვიულონ, თუ რთული ვარიანტი შეასრულეს, ეს მათ აუცილებლად დაუფასდებათ, – განაცხადა სოფო დოლიძემ.

კომერსანტი

აგვისტოდან ან სექტემბრიდან 23 დასახელების მედიკამენტი პენსიონერებისა და შშმ პირებისთვის ნახევარ ფასში გაიყიდება

ფარმაცევტული კომპანიები 23 დასახელების მედიკამენტს პენსიონერებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ნახევარ ფასში გაყიდიან.

ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ განაცხადა.

– სასიცოცხლოდ აუცილებელ, დაახლოებით 300-400 დასახელების მედიკამენტზე ფასის რეგულირება უნდა მოხდეს. ამის რამდენიმე მეთოდი არსებობს – ან უნდა დაფიქსირდეს მოგების მარჟა, ან ე.წ. ეტალონური ფასები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეგვიძლია ეტალონად რამდენიმე

ქვეყანა ავიღოთ და მწარმოებლებს ვუთხრათ, რომ ფასი ამ ქვეყნებში არსებული ფასის მიხედვით იყოს.

ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივის ფარგლებში, ფარმაცევტული კომპანიები ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, 23 დასახელების მედიკამენტს პენსიონერებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ნახევარ ფასში გაყიდიან. ეს აგვისტოდან ან სექტემბრიდან დაიწყება. თუკი ტენდენცია შენარჩუნდება და ასორტიმენტი გაფართოვდება, მაშინ პირდაპირი რეგულირების აუცილებლობა აღარ იქნება, მაგრამ, თუ ტენდენცია ვერ შენარჩუნდა, მაშინ რეგულირება აუცილებელია, – აღნიშნა ზოიძემ.

ბან

ჩხუბი კოჯრის სამხედრო ნაწილში — 2 დაჭრილ ჯარისკაცს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა

კოჯრის სამხედრო ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებს შორის ჩხუბის შედეგად 5 ჯარისკაცი დაშავდა, მათგან 2 დაიჭრა.

კოჯრის სამხედრო ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებს შორის ჩხუბის შედეგად 5 ჯარისკაცი დაშავდა, მათგან 2 დაიჭრა. ინციდენტს წინ სიტყვიერი შელაპარაკება უძღოდა. ჯარისკაცებს ჭრილობები ცივი იარაღით აქვთ მიყენებული.

ორივე დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. მათ გუშინ გვიან ღამით ოპერაცია ჩაუტარდათ. ჯარისკაცებს ნაკვეთი ჭრილობები მუცლისა და გულ-მკერდის არეში აქვთ მიყენებული. ამ დრომდე ერთი ინგროოყვას კლინიკაში, მეორე კი ამტელ ჰოსპიტალში რჩება. მათთან ერთად სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა 3 დაშავებულ სამხედრო მოსამსახურესაც. ორი მათგანი კლინიკიდან მალევე გაწერეს.

– იყო მუცლის შემავალი ჭრილობა, რომელიც გადავიდა საოპერაციო ბლოკში. ამ ეტაპზე ოპერაცია დასრულებულია და პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია. 2 პაციენტი შემოვიდა თვითდინებით, ერთს აღენიშნებოდა ყურის მცირე ზომის ჭრილობა და მეორეს თავის სკალპის მიდამოებში ჰქონდა ჭრილობა. ცეცხლსასროლი არ არის, სავარაუდოდ, ცივი იარაღია, – აცხადებს ექიმი უჩა ციხიშვილი.

ზაზა სარალიძე: „ლუკა კალანდიამ საგამოძიებო კომისიას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა“

ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამის, ზაზა სარალიძის თქმით, შესაძლოა, მოზარდებს შორის მომხდარი კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის, მიხეილ კალანდიას ძმამ ლუკა კალანდიამ პარლამენტის საგამოძიებო კომისიას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. როგორც ზაზა სარალიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ის ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებას ელოდება.

– გააჩნია, ბატონი ლუკა კალანდია რას გულისხმობს და რამდენად სწორად ისაუბრა. შესაძლოა, თავისივე შეთხზული რაღაც ისაუბრა, რაც აქამდე სჭირდებოდა, ის ტყუილი და ის ფარსი. ფაქტია, რომ დღეს ჩემი შვილის მკვლელი არ არსებობს, მაშინ ვინ მოკლა ჩემი შვილი? მაშინ ეთქვა ლუკა კალანდიას, რა და როგორ მოხდა. ვნახოთ, კომისიას ვინ ესაუბრნენ და რას გადაწყვეტს საგამოძიებო კომისია, – აღნიშნა მან.

ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის მომხდარი კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის, მიხეილ კალანდიას ძმამ, ლუკა კალანდიამ, ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა, რომ იცის, რა მოხდა, მაგრამ მისი ძმისგან თუ სხვა წყაროსგან ამას ვერ იტყვის. კალანდიამ ასევე აღნიშნა, რომ მან პარლამენტის საგამოძიებო კომისიას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

დიმიტრი გვრიტიშვილი: „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე არასდროს ყოფილა ზეწოლა და უკანონო ზემოქმედება“

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე არასდროს ყოფილა არანაირი ზეწოლა და უკანონო ზემოქმედება. ჩვენ ამის არც ბერკეტი და არც სურვილი არასდროს გვქონია.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა დიმიტრი გვრიტიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის თანამდებობიდან წასვლის საკითხს გამოეხმაურა.

დიმიტრი გვრიტიშვილის თქმით, განცხადებები, რომ ნინო გვენეტაძე იყო ზეწოლის ქვეშ, სასამართლო სისტემის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. მისი თქმით, როდესაც გვენეტაძემ საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა, რომ ის არის ზეწოლის ქვეშ, ამგვარ ფაქტს რომ რეალურად ჰქონოდა ადგილი, გვენეტაძე მაშინ დატოვებდა პოსტს და არა ახლა.

ამასთან, დიმიტრი გვრიტიშვილი გამოეხმაურა საბჭოს არამოსამართლე წევრ ანა დოლიძის განცხადებას, რომ გვენეტაძის გადადგომა მისთვის „სისტემის ავადმყოფობაა“.

– ჩვენი კომენტარები მოსდევს ხოლმე ისეთ განცხადებებს, როდესაც აშკარად ხდება ფაქტების დამახინჯება. ერთმნიშვნელოვანი ფაქტის სხვაგვარი და არაობიექტური შეფასება ხდება. ამიტომ, ამგვარ ვარაუდებზე, როდესაც არავითარი მტკიცებულებები არ ახლავს, კომენტარს ვერ გავაკეთებ. იქ იყო ხაზგასმა ძალადობაზე. გასული წლის ნოემბერში ქალბატონმა ნინომ ემოციურ ფონზე საკმაოდ ემოციურ გარემოში საკითხის განხილვისას საბჭოს სხდომაზე ეს განცხადება გააკეთა, თუმცა ლოგიკური იქნებოდა ის, რომ თუ ასეთი უკანონო ზემოქმედება მასზე არსებობს, მაშინ გადამდგარიყო. რამდენიმე თვისა და პოზიტიური შედეგების შემდეგ იმ ფაქტის გახსენება, რომ თურმე მაშინ საუბრობდა უზენაესის სასამართლოს თავმჯდომარე ძალადობაზე და მაშინ არ გადადგა და რამდენიმე თვის შემდეგ გადადგა, ალოგიკურია და ურთიერთგამომრიცხავი, – განაცხადა გვრიტიშვილმა.

ამასთან, დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადებით, სასამართლო სისტემისა და საბჭოს მუშაობის პოზიტიური შედეგების ფონზე მისთვის მოულოდნელი იყო ნინო გვენეტაძის პოსტიდან წასვლა.

– თუმცა, იმ მიზეზში, რაც მან დაასახელა, ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს იმიტომ, რომ ისეთი გადატვირთული რეჟიმი არსებობს სასამართლო სისტემაში, ამგვარი პრობლემა შეიძლება თითოეულ ჩვენგანს შეექმნას, – განაცხადა დიმიტრი გვრიტიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე დაკავებულ თანამდებობას ტოვებს. ნინო გვენეტაძე გადადგომის მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობას და საზღვარგარეთ რამდენიმეთვიანი მკურნალობის საჭიროებას ასახელებს.

„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას მზია თოდუა შეასრულებს“

გუშინ დილიდან გავრცელდა განცხადება, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა.

– ჩემთვის ეს განცხადება იყო სამწუხარო და მოულოდნელი. მინდა, ჯანმრთელობა ვუსურვო ქალბატონ ნინოს.

ამის შესახებ იუსტიციის საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ საბჭოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ნინო გვენეტაძესა და პირადად მას გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდათ, თუმცა ბოლო დროს მათი ხედვები მნიშვნელოვნად დაახლოვდა.

კითხვაზე, ხომ არ უკავშირდება ნინო გვენეტაძის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება საბჭოს მხრიდან ზეწოლის საკითხს, გიორგი მიქაუტაძემ განაცხადა, რომ ეს არის მცდელობა, პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანონ მიმდინარე მოვლენები და პოლიტიკით დაიტვირთოს სასამართლოს სისტემა.

– ეს ნამდვილად არ არის ასე. იცით, საბჭოს სხდომებიდანაც, რომ გარკვეულ თემებზე გვქონდა განსხვავებული მოსაზრებები, თუმცა ბოლო პერიოდში ჩვენი ხედვები მაქსიმალურად დაახლოებული იყო. ჩვენ გადასული ვიყავით საქმიანობის კონსტრუქციულ რეჟიმში. ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებიც ამაზე მეტყველებს, რომ თითქმის ერთსულოვნად იყო საბჭო ყველა საკითხის მიმართ განწყობილი. ეს აგრეთვე დადასტურდა სტრატეგიის შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით და თუ არ ვცდები, თავმჯდომარემაც გააკეთა ამაზე კომენტარი, – განაცხადა გიორგი მიქაუტაძემ.

რაც შეეხება პროცედურებს, გიორგი მიქაუტაძის თქმით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს ნინო გვენეტაძის მოადგილე მზია თოდუა. მისი თქმით, ის არის სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე და, ამავდროულად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნისას ის ასრულებს მოვალეობას.

რაც შეეხება იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას, ამ ფუნქციას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი მდივანი გიორგი მიქაუტაძე შეასრულებს.

შეგახსენებთ, რომ უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე დაკავებულ თანამდებობას ტოვებს. ნინო გვენეტაძე გადადგომის მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობას და საზღვარგარეთ რამდენიმეთვიანი მკურნალობის საჭიროებას ასახელებს.

უზენაესმა სასამართლომ დეკანოზ მამალაძის საქმე წარმოებაში არ მიიღო

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატ გიორგი ფანცულაიას ინფორმაციით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დეკანოზის საქმე წარმოებაში არ მიიღო.

მისივე თქმით, დავა სტრასბურის სასამართლოში გაგრძელდება.

მამა გიორგი მამალაძის უფლებადამცველები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რამდენიმე თვეში მიმართავენ. ადვოკატები გეგმავენ, რომ გასაჩივრებისთვის დადგენილი მაქსიმუმ ექვსთვიანი პერიოდიდან მხოლოდ ორი თვე გამოიყენონ.

– უზენაესმა სასამართლომ 5 თვიანი ფიქრის შემდგომ გადაწყვიტა წარმოებაში არ მიიღო ე.წ. ციანიდის საქმე, დეკანოზ გიორგი მამალაძის სისხლის სამართლის საქმე!

მოკლედ, იმ ხარისხის დამოუკიდებლობა და გამბედაობაც არ აღმოაჩნდა უზენაეს სასამართლოს, უბრალოდ, წარმოებაში-განხილვაში მიეღო საქმე და ჩვენთვის მოესმინა...

ამ გადაწყვეტილებით დეკანოზ გიორგი მამალაძეს კი არა, საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი ამ „მართლმსაჯულებამ“! რადგან დეკანოზი მამალაძე და მისი გუნდი გპირდებით, ქართული მართლმსაჯულება და მათი დამკვეთი პოლიტიკური და სასულიერო პირები მიღებენ ძალიან მწარე სილას სახეში სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებით! ისეთ მკაცრს, როგორიც ქართულ მართლმსაჯულებას არასოდეს მიუღია!

ასევე გპირდებით, სტრასბურის სასამართლოს შემდგომ ჩავხედავთ თვალებში ყველა იმ პირს, ვინც კონფორმიზმის გამო ჩუმად ყოფნა ამჯობინა ამ 2 წლის განმავლობაში! გპირდებით, ბევრი შეეწირება, როგორც ერი, ასევე ბერი, თავიანთი რეგალიებითურთ, – წერს ადვოკატი სოციალურ ქსელში.

სასამართლომ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

– ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული ხ.კ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით 17:00 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ხ.კ.-მ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მისსავე საცხოვრებელ სახლში მეუღლეს ა.კ.-ს მიმართ არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით ფსიქოლოგიური ძალადობა განახორციელა და შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი დამოკიდებულებით, აგრესიით აიძულებდა მას გარკვეული მოქმედების შესრულებას, შემდეგ კი დაზარალებულის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა, რა დროსაც სახეში დაარტყა, ყელში წაუჭირა ხელი, ძირს დააგდო და სცემა. ხ.კ.-ს ქმედებით ა.კ.-მ სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო და ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა განიცადა.

სასამართლოში ასევე დადგინდა, რომ ხ.კ. მეუღლეზე არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად სისტემატურად ძალადობდა.

სამართალდამცველებმა ხ.კ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე 2018 წლის 16 მაისს ქ.ქობულეთში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ხ.კ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო 1 წელი ჩაეთვალა პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

2018, 3 აგვისტო, №182

რატომ მოკლეს რუსი ჟურნალისტები

როგორც ცნობილია, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში რუსი ჟურნალისტები რადჩენკო, რასტორგუევი და ჯემალი დაიღუპნენ. ეს იყო გადამღები ჯგუფი, რომელიც ფირმა „ვაგნერის“ საქმიანობის თაობაზე დოკუმენტური ფილმის გადაღებას აპირებდა. „ვაგნერის“ ბოევიკები მსოფლიოს მრავალ ცხელ წერტილში, მათ შორის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაშიც იბრძვიან.

ფირმა „ვაგნერის“ შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. ესაა გასაიდუმლოებული კერძო საწარმო, რომელიც დაქირავებულ მეომრებს მსოფლიოს ცხელ წერტილებში აგზავნის. „დოიჩე ველეს“ ცნობით, „ვაგნერის“ მებრძოლთა რაოდენობა დღეისათვის 2.500-ია. „ვაგნერის“ ფირმის დაქირავებული ბოევიკები იბრძვიან სირიაში, დონბასში და ა.შ. დონბასში მათ უდიდესი ზარალი განიცადეს, რის შემდეგაც იძულებულნი გახდნენ, იქაურობა დაეტოვებინათ.

კრემლი „ვაგნერის“ არსებობას უარყოფს. ამავე დროს, პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, სურვილის შემთხვევაში საზღვარგარეთ მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა მიიღოს. ფირმა „ვაგნერს“ სათავეში გრუ-ს სპეცნაზის ყოფილი მეთაური უტკინი უდგას. ფირმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მფარველობაში იმყოფება. მას ნაწილობრივ სამინისტრო აფინანსებს, ნაწილობრივ კი – ცნობილი ბიზნესმენი პრიგოჟანინი. ის პუტინის დაახლოებულთა წრეს განეკუთვნება.

ჟურნალისტების მკვლელობის შესახებ უკვე ახალი და ფრიად საინტერესო ფაქტები გაირკვა. ცნობილია, რომ თავდამსხმელებმა იცოდნენ, თუ რა მარშრუტით გადაადგილდებოდნენ ჟურნალისტები, ამიტომ წინასწარ ჩაუსაფრდნენ მანქანას, რომლითაც ჟურნალისტები გადაადგილდებოდნენ. მიუხედავად ამისა, მძღოლი ცოცხალი გადარჩა.

– ისმის კითხვა: როგორ გადარჩა მძღოლი? ხომ არ იყო ის დანაშაულის თანამონაწილე? – ამ კითხვას სვამს ბი-ბი-სი.

გადარჩენილი მძღოლის ჩვენების თანახმად, შეიარაღებული ბანდიტები მანქანას საგანგებოდ უცდიდნენ. როგორც კი ის მათ მიუახლოვდა, საფარიდან გამოცვივდნენ და ცეცხლი გაუხსნეს. მძღოლი აცხადებს, რომ ყველა თავდამსხმელს სამხედრო ფორმა ეცვა, სახეები კი ვერ გაარჩია. აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. რუსი დაქირავებულები, კერძოდ, ფირმა „ვაგნერის“ ბოევიკები, მასში აქტიურად მონაწილეობენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით განაცხადა:

– დაღუპული ჟურნალისტები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ტურისტების სტატუსით იმყოფებოდნენ.

რაც შეეხება მკვლელობას, ამის თაობაზე ორი ვერსია არსებობს. თანახმად პირველი ვერსიისა, მკვლელობა გაძარცვის მიზნითაა ჩადენილი. მეორე ვერსია კი დანაშაულს ფირმა „ვაგნერის“ საქმიანობას უკავშირებს.

– ჟურნალისტებმა ფირმა „ვაგნერის“ შესახებ ინფორმაცია შეკრიბეს. ვიღაც-ვიღაცებს ეს არ ესიამოვნათ და ჟურნალისტებიც სამუდამოდ დაადუმეს, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ვინ არიან ეს ვიღაც-ვიღაცები? მოხერხდება თუ არა მათი გამოაშკარავება?!

ტრამპი წონასწორობას კარგავს

აშშ-ში გრძელდება გამოძიება 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსების ჩარევასთან დაკავშირებით. სპეცპროკურორ მიულერის გამოძიებამ ტრამპისათვის ბევრი არასასურველ ფაქტი გამოავლინა. აშშ-ის პრეზიდენტიც უკვე წონასწორობას კარგავს.

– მივმართავ გენერალურ პროკურორ სეშნს, რათა ე.წ. რუსული საქმის გამოძიება დაუყოვნებლივ შეწყდეს! – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტის აზრით, ქვეყანაში კუდიანებზე ნადირობაა გაჩაღებული, რაც აშშ-ის იმიჯს ძლიერ ლახავს. ამას მისივე გუნდის წევრები არ ეთანხმებიან. ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა არჩევნებში რუსების ჩარევის ფაქტი აღნიშნა და ამას ამერიკული დემოკრატიის შეურაცხყოფა უწოდა. პენსმა ამერიკის დაზვერვის გამოძიების ფედერალური ბიუროს მუშაობას მაღალი შეფასება მისცა.

ლუკაშენკო სამი დღით გაუჩინარდა

ბელორუსის პრეზიდენტი მთელი სამი დღის განმავლობაში არ ჩანდა. ქვეყანაში დაირხა ხმა, რომ ლუკაშენკოს ინსულტი დაემართა. ბელორუსული მედია ამის თაობაზე, ბუნებრივია, დუმდა, რადგანაც ის სახელმწიფოს კონტროლქვეშ იმყოფება. ინსულტის თაობაზე საზოგადოებას მეზობელი უკრაინის პრესამ ამცნო.

– ეს ნამდვილი ბოდვაა, – ასეთი კომენტარი გააკეთა ამ ინფორმაციაზე ბელორუსის პრეზიდენტის პრესსამსახურმა.

1 აგვისტოს ლუკაშენკო გამოჩნდა. ბელორუსულმა ტელევიზიამ გადასცა მისი და მინსკის ქალაქკომის თავმჯდომარე ისაჩენკოს შეხვედრის ამსახველი კადრები. ალექსანდრ გრიგორევიჩი აშკარად შეფერთხილი გამოიყურებოდა, თუმცა ცდილობდა, თავი ყინჩად სჭეროდა.

– სად იყო ამ სამი დღის განმავლობაში ლუკაშენკო? საზოგადოებამ ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი ვერ მიიღო, – იტყობინება „ლენტა რუ“.

ერდოღანი მზად არის, სიკვდილით დასჯა აღადგინოს

თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი მზად არის, სიკვდილით დასჯა აღადგინოს. ჟურნალისტებთან ინტერვიუში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუკი პარლამენტი ამას მხარს დაუჭერს, სიკვდილით დასჯა აღდგება.

– თურქეთის მეზობელი სირია ექსტრემისტების სათარეშოდ გადაიქცა! ტერორისტები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებას შეთქმულებაზე აწყობენ! ჩვენ სხვა გამოსავალი არ დაგვრჩა, გარდა იმისა, რომ თავი დავიცვათ, – თქვა ერდოღანმა.

სერგეი ლავროვს მაიკ პომპეოსთან შეხვედრა სურს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ სურს, აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს სასწრაფოდ შეხვდეს.

– რუსეთ-აშშ-ს შორის უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს, – თქვა ლავროვმა.

პომპეოს გარდა, ლავროვი აპირებს, ავსტრალიის, სამხრეთ კორეისა და სინგაპურის საგარეო საქმეთა მინისტრებსაც შეხვდეს.

აშშ-ში თავდაცვის ბიუჯეტი მიიღეს

აშშ-ის სენატმა თავდაცვის ბიუჯეტს მხარი დაუჭირა. ამრიგად, ბიუჯეტი მიღებულია. ახლა მას პრეზიდენტმა ტრამპმა უნდა მოაწეროს ხელი და უკვე ოფიციალურად შევა ძალაში.

თავდაცვაზე 716 მილიარდი დოლარია გამოყოფილი. 250 მილიონი დოლარი უკრაინისათვის ლეტალური იარაღის შესაძენად არის გათვალისწინებული.

რუსული პროვოკაციები ლატვიაში

ლატვიაში რუსული აგენტურის მკვეთრი გააქტიურება დაფიქსირდა. ლატვიის რუსულენოვანი მოსახლეობის დამცველმა ლიდერმანმა განაცხადა, რომ დაწყებულია ხელმოწერების შეგროვება ლატვიაში რუსულენოვანი მოსახლეობის ვითომდა დისკრიმინაციის გამო.

– ჩვენ საამისო მასალები უკვე შევკრიბეთ, – აცხადებს ლიდერმანი.

ლიდერმანის განცხადებით, ამ ე.წ. მასალებს ევროსაბჭოში გადააგზავნიან.

– ლატვიის მიმართ ევროპამ სანქციები უნდა შემოიღოს, – ამბობს ლიდერმანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატს ურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს, მედლებს, ორდენებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

18 წლამდე ნაკრების პირველი გამარჯვება

როგორც იქნა, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ბუბა ბერიშვილისა და თემურ კანკიას გაწვრთნილი ჩვენი გუნდი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში აზერბაიჯანს შეხვდა და მეტოქე 25 ქულის სხვაობით – 75:50 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა. ქართველებმა ყველა პერიოდი დამაჯერებლად მოიგეს და მოპოვებული გამარჯვებით აზერბაიჯანი ჯგუფში უკან მოიტოვეს. საქართველოს ნაკრებს აზერბაიჯანელებთან დავით კაკუშაძემ ულიდერა, რომელმაც 12 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ბომბარდირი გახდა რატი ანდრონიკაშვილი, რომელმაც 26 წუთში 15 ქულა და 6 პასი მიითვალა.

საქართველოს ნაკრებმა 6-გუნდიან ბ ჯგუფში 5 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო და მე-5 ადგილი დაიკავა. შესაბამისად, ჩვენი გუნდი ტურნირზე 17-24 ადგილებისთვის საკვალიფიკაციო ბრძოლაში გადაერთო. ადგილების განაწილება იმისთვის არის საჭირო, რომ ბ დივიზიონში მოასპარეზე 24 გუნდიდან ბოლო 3 ადგილის მფლობელი გამოვლინდეს, რომლებიც ც დივიზიონში დაქვეითდებიან. ამიტომ, ტურნირზე ყველა ადგილი თამაშდება. იმედია, ჩვენი ნაკრები მოახერხებს და თავიდან აიცილებს დაქვეითებას.

საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს ა ჯგუფის ბოლოადგილოსან შვეიცარიის ნაკრებთან გამართავს.

ეროვნული ლიგა დღეიდან განახლდება

დღეიდან იწყება საქართველოს ეროვნული ლიგის მე-3 წრე. ერთთვიანი პაუზა გუნდებმა შემადგენლობის გადახალისებისთვის გამოიყენეს და სეზონის მეორე ნახევარში სხვა გუნდებს ვიხილავთ. ვნახოთ, ვინ უფრო ნაყოფიერად გამოიყენა ეს პერიოდი.

მანამდე გეტყვით, რომ ტური 4 დღეს „გაიწელა“, მაგრამ კვირას მცირე პაუზა აქვთ...

პარასკევი, 3 აგვისტო

დინამო-ხუსთავი

20:00 თბილისი. დინამო არენა

მეორე წრეს ორივე გუნდი დანაკლისით ხვდება. დინამო დატოვა უპირობო ლიდერმა და კაპიტანმა ოთარ კიტეიშვილმა. დედაქალაქელებს, ასევე ნიკა ძალამიძე გამოაკლდათ. თუმცა, ნახევარი სეზონის შემდეგ შევსებაც მიიღეს. ერთია, თუ მათე ვაწაძემ ევროთასებზე ითამაშა, სტეფან სიკაჩს ჯერ დინამოს მაისური ოფიციალურ მატჩში არ მოურგია.

თუმცა, დანაკლისი რუსთავს რომ აქვს, ისე უნდა – ლევან გეგეჭკორი, მამუკა კობახიძე, მათე ცინცაძე, თამაზ მაქაცარია და ბექა მიქელთაძე გუნდის წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ. შემცვლელები კი მოვიდნენ, მაგრამ არა იმ დონის ვინც წავიდა. ერთადერთი, შესაძლოა, მეკარე ნუკრი რევიშვილის კვალიფიციურ შემცვლელად ომარ მიგინეიშვილი მივიჩნიოთ.

დინამო ამ მატჩში სატურნირო მდგომარეობითაც და ფეხბურთელების ხარისხითაც ფავორიტია.

შაბათი, 4 აგვისტო

ლოკომოტივი-სამტრედია

17:30 თბილისი. მიხეილ მესხი 2

მასპინძლები თეიმურაზ ღონღაძემ, გიორგი ხიდეშელმა, რომან ჭანტურიამ, დაჩი ცნობილაძემ და ლევან ყენიამ დატოვეს, ახალი ფეხბურთელი კი არ ჩანს. სამაგიეროდ, სამტრედია შეიცვალა ძირფესვიანად: გუნდში 11 ახალი ფეხბურთელი მივიდა, რომელთაგან ნახევარზე მეტს სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის პრეტენზია აქვს. ასე რომ, სეზონის მეორე ნახევარში საერთოდ სხვა სამტრედიას ვიხილავთ.

ჰო, იმერლებს ამ სეზონში ერთადერთი გამარჯვება აქვტ და ისიც, სწორედ, ლოკომოტივთან – ეროვნული ლიგის პირველ ტურში. მას შემდეგ სამტრედიამ კიდევ 17 მატჩი გამართა და გამარჯვება არ უგემია.

ფავორიტად მასპინძლები უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მათ გამარჯვებას ხმამაღლა ვერ ვიწინასწარმეტყველებთ.

საბუთალო-სიონი

21:00 თბილისი. მიხეილ მესხი

ჩემპიონატის ლიდერი ერთ-ერთ აუტსაიდერს დაუხვდება. სეზონის შუაში საბურთალო კიდევ უფრო გაძლიერდა და გუნდში საქართველოს ნაკრების 2 ყოფილი ფეხბურთელი, დავით თარგამაძე და ვლადიმერ დვალიშვილი დაიმატა.

რამდენიმე ცვლილება მოხდა ბოლნისელთა შემადგენლობაში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ გუნდი გაძლიერდა ან დასუსტდა.

ცხადია, ფავორიტი ჩემპიონატის ლიდერია.

6 აგვისტო

ჩიხურა-ჯოლხეთი

17:30 ივანწმინდა. ცენტრალური

ეს მატჩი ერთი დღით გვიან გაიმართება. ჩიხურა გუშინ გვიან ღამით ევროპა ლიგის საპასუხო მატჩს გამართავდა სლოვენიურ მარიბორთან და ეროვნულ ჩემპიონატში გადმორთვას მგზავრობის გამო ვერ მოასწრებდა. ამიტომაც გუნდები ორშაბათს ითამაშებენ.

ჩიხურა ტონუსშია და ევროტურნირზე რამდენიმე კარგი მატჩიც გამართა, კოლხეთი კი ცუდ დღეშია. ერთი იმიტომ, რომ გუნდს 6 ქულა დააკლეს და 5 ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მისცეს, მეორეც – გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და შევსება ჯერ არ მიუღია. სინჯებზე კი ჰყავთ ფეხბურთელები, მაგრამ, მოასწრებენ თუ არა მათ განაცხადში შეყვანას, გასარკვევი ეს არის.

ჰო, კოლხებს ახალი მწვრთნელი ჰყავს – იტალიელი რობერტო ლანდი, რომელიც 1998 წელს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა.

ტორპედო-დინა

20:00 ქუთაისი. რამაზ შენგელია

ტურის ცენტრალური მატჩიც ერთი დღით გვიან ჩატარდება. მიზეზი აქაც ევროტურნირებია.

ორივე გუნდს კარგი შემადგენლობა ჰყავს და სატრანსფერო პერიოდში კარგი შევსებაც მიიღეს, მაგრამ ტორპედო უფრო შეთამაშებულია, რადგან გუნდმა 4 მატჩის გამართვა მოასწრო ახალი შემადგენლობით.

აქედან გამომდინარე, მცირე ფავორიტად მასპინძლებს მივიჩნევთ, მაგრამ გორელთა ბრძოლისუნარიანობა და ხარისხიანი ფეხბურთელები ტორპედოს ბევრ პრობლემას შეუქმნიან.

სატუინირო ცხრილი:

1.საბურთალო	18	14	1	3	35-14	43
2.დინამო	18	12	2	4	38-17	38
3.დილა	18	9	7	2	36-24	34
4.ჩიხურა	18	9	4	5	28-16	31
5.ტორპედო	18	8	3	7	26-18	27
6.რუსთავი	18	5	6	7	18-23	21
7.ლოკომოტივი	18	5	4	9	20-30	19
8.სიონი	18	3	4	11	15-33	13
9.სამტრედია	18	1	6	11	11-28	9
10.კოლხეთი	18	3	5	10	19-43	8

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა.

გოგა ბითაძე მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდებში მოხვდა

მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ერთ-ერთი პლუსი ის არის, რომ ნაკრებებს შანსი ეძლევათ, საკუთარ ტალანტებს გამოცდილება შესძინონ. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის დროს ბევრმა მათგანმა დიდი ყურადღება მიიქცია.

ამის ფონზე ფიბამ 21 ახალგაზრდა მოთამაშე დაასახელა, რომელთაც თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს. მათ შორის გოგა ბითაძეც მოხვდა.

19 წლის კალათბურთელს ნამდვილად დაიმსახურა ამ სიაში ყოფნა. თებერვლის ფანჯრის დროს, მას საშუალოდ 10.5 ქულა, 6.5 მოხსნა, 2 ბლოკი და 1 ჩაჭრა ჰქონდა. ბოლო ტურში, ავსტრიასთან მოგებულ შეხვედრაში, მან 15 ქულა, 6 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

დარჩენილი კალათბურთელების სია შემდეგნაირია: ძანან მუსა (ბოსნია), რუი ჰაჩიმურა (იაპონია), რიჯეი ბარეტი (კანადა), ფურკან კორკმაზი (თურქეთი), ჯორდან ვორა (ნიგერია), ემანუელ კატე (რუმინეთი), არნოლდას კულბოკა (ლიტვა), იაგო მათეუს დოს სანტოსი (ბრაზილია), ტრიგვი ჰლინასონი (ისლანდია), იხაბ ალ-ზუჰაირი (ერაყი), ნიკო მანიონი (იტალია), კრისტიან კულამაე (ესტონეთი), ჰუ ჯინქიუ (ჩინეთი), ენდრიუ ნემბარდი (კანადა), იოველ ზუსმენი (ისრაელი), კურტ-კარი ვეგშაიდერი (ცენტრალური აფრიკა), იოვან კლიაიჩი (მონტენეგრო), მასიმო ფიელერუპი (არგენტინა), ისაკ ბონგა (გერმანია), ისააკ ლეტოა (ახალი ზელანდია).

ჯანი ინფანტინო: „ფიფაში კონტროლის დასამყარებლად პოლიციური ძალებიც დაგვჭირდება“

ბოლო დღეს ფეხბურთელებს „ფასი დაედოთ“. გასულ წელს ნეიმარის ტრანსფერმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა, სწორედ ამიტომ თითქმის ყველა ფეხბურთელის ფასმა მოიმატა და ახლა რომელიმეს შეძენა გართულებულია, თუ ფული „ ჩეჩქივით“ არ გიყრია.

როგორ უყურებს ამ პრობლემას ჯანი ინფანტინო, ინგლისურ მედიასთან ინტერვიუში ჩანს.

– ყოველწლიურად იზრდება სატრანსფერო თანხები და, შესაბამისად, იზრდება იმ შუამავალთა შემოსავლებიც, რომლებიც ამ ტრანსფერების უკან დგანან. არ ხართ შეშფოთებული იმით, რომ სატრანსფერო ბაზარზე აგენტები სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ?

– ვფიქრობ, ამ შემთხვევაში შეშფოთება ზუსტ განსაზღვრებად არ ივარგებს. მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენ თავიდან უნდა დავიწყოთ სატრანსფერო საკითხების შესწავლა და ამ თემით უფრო სიღრმისეულად უნდა დავინტერესდეთ... წარმოიდგინეთ, რამდენი ტრანსფერი ხორციელდება წლის განმავლობაში ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე – ლაპარაკია დაახლოებით 2-3 მილიარდის ბრუნვაზე, რაც ძალიან დიდი თანხაა. თქვენ სწორად შენიშნეთ ისიც, რომ წლიდან წლამდე იზრდება შუამავალთა შემოსავალი და დროა, ამ ყველაფრის ანალიზი გაკეთდეს.

– ფიქრობთ, რომ აგენტებისკენ დიდი ფული მიდის?

– ვერ გეტყვით, ეს დიდი ფულია თუ ცოტა. იქნებ ცოტაა და ისინი უფრო მეტს იმსახურებენ?! საქმე ისაა, რომ აქ არ არის სრული გამჭვირვალობა და სანამ ეს არ იქნება, მანამდე დასკვნებს ვერ გავაკეთებთ. აი, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ დაიწყო აგენტების შემოსავლების გამოქვეყნება და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, რაღაცნაირად გვეხმარება... თუ მოვინდომებთ, და სხვა გზა არც გვაქვს, ჩვენ შევძლებთ ამ სფეროში გამჭვირვალობის მიღწევას.

– ჩვენს ხელთ არის ძალიან ბევრი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ კლუბები კონტრაქტებს უფორმებენ ფეხბურთელების აგენტებს. შემდეგ ამ აგენტს შეუძლია, ურჩიოს „თავის“ ფეხბურთელს, იმ კლუბში გადავიდეს, რომელთანაც თავად აკავშირებს კონტრაქტი. ეს ხომ ინტერესთა კონფლიქტია? გაგრძელება მე-10 გვერდზე

ვინ რამდენი მილიონი მიიღო მუნდიალზე

2017 წელს ფიფამ დაანონსა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის 791 მილიონი დოლარი დაიხარჯებოდა, ეს კი, 40%-ით მეტია 2014 წელს დახარჯულთან შედარებით. ამ თანხიდან 400 მილიონი დოლარი ნაკრებებზე გადანაწილდებოდა, რაც ასევე 12%-ით აღემატებოდა ძველს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფრანგეთმა, მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში, ყველაზე დიდი თანხა მიიღო. ფრანგებმა ხორვატია მუნდიალის ფინალში დაამარცხეს. რაც ნიშნავს, რომ მათ 38 მილიონი დოლარი ერგოთ. ხორვატებს – 28 მილიონი.

უცხოური მედიის მიხედვით, საპრიზო თანხა თითოეული ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ჩაერიცხა, რომლებიც შემდეგ თავად განსაზღვრავენ როგორ გადანაწილდება მოგება და რა რაოდენობის თანხას მიიღებს თითოეული ფეხბურთელი.

რა თქმა უნდა, მარტო საფრანგეთსა და ხორვატიას არ მიუღიათ თანხა. ყველა ნაკრებმა, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა, მინიმუმ 8 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ასევე, 1,5 მილიონი დოლარი, როგორც მოსამზადებელი ხარჯები.

ჯამში, თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა:

8 მილიონი დოლარი: საუდის არაბეთი, ეგვიპტე, ირანი, მაროკო, ნიგერია, ისლანდია, ავსტრალია, პერუ, სერბეთი, კოსტა რიკა, სამხრეთ კორეა, გერმანია, ტუნისი, პანამა, სენეგალი, პოლონეთი;

12 მილიონი დოლარი: პორტუგალია, არგენტინა, მექსიკა, იაპონია, ესპანეთი, დანია, შვეიცარია, კოლუმბია;

16 მილიონი დოლარი: ურუგვაი, ბრაზილია, რუსეთი, შვედეთი;

22 მილიონი დოლარი: ინგლისი;

24 მილიონი დოლარი: ბელგია;

28 მილიონი დოლარი: ხორვატია;

38 მილიონი დოლარი: საფრანგეთი.

შედეგები

1 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ჰიკი-ბატე 1:2
ყარაბაღი-კუკესი 3:0
მიდტიულანდი-ასტანა 0:0
მალმიო-კლუჟი 1:1
სუდუვა-ცრვენა ზვეზდა 0:2
ბაზელი-პაოკი 0:3
ვიდეოტონი-ლუდოგორეცი 1:0
შტურმი-აიაქსი 1:3
რუსენბორგი-სელტიკი 0:0

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ჯანი ინფანტინო: „ფიფაში კონტროლის დასამყარებლად პოლიციური ძალებიც დაგვჭირდება“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს ინტერესთა კონფლიქტია და საქმეც ისაა, როგორ დავარეგულიროთ ეს საკითხი. თქვენ იცით, რომ 2015 წლამდე საერთოდ არ არსებობდა შუამავლობის რეგულაციები, ახლა კი აგენტები ვალდებულნი არიან, მოლაპარაკების პროცესის დასაწყისშივე განაცხადონ და დაამტკიცონ, რომ ამა თუ იმ ტრანსფერში პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი არ არის, ოღონდ ამას ყველა მხარე უნდა დაეთანხმოს.

– ისე, რამდენად რეალურია, რომ აგენტი ორივე მხარისთვის ერთნაირად მუშაობდეს?

– ეს რეალობაა, თუ არის გამჭვირვალობა. ამით ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი. ახლა ვიცი, რომ დამისვამთ კითხვას – საკმარისია ეს? რა თქმა უნდა, არ იქნება საკმარისი, თუ ყველა დაინტერესებული მხარე არ იაქტიურებს. მე ძალიან ვაფასებ მედიის როლს, მაგრამ აქ მთავარი აქტორები არიან ფეხბურთელები, კლუბები, შუამავლები, ევროკომისიის ავტორიტეტული სტრუქტურები... ჩვენ უკვე შევქმენით ფიფას ეგიდით ერთიანი კომიტეტი, რომელიც ახალი წლის დასაწყისში პირველად შეიკრიბება.

– რას იტყვით იმაზე, რომ 2015 წლის რეგულაციების თანახმად, საფეხბურთო აგენტებზე კონტროლის მექანიზმი ეროვნულ ასოციაციებს გადაეცათ? ანუ რამდენად სწორად მოხდა ამ საკითხის დელეგირება ასოციაციებზე?

– როცა ეს მოხდა, მაშინ მე ჯერ არ ვიყავი ფიფას პრეზიდენტი...

– და ეს იმას ნიშნავს, რომ გადახედავთ ამ წესს?

– არა, რატომ? ჩვენ ჯერ კარგად უნდა გამოვცადოთ ეს გზა. გულუბრყვილობა იქნება, ვიფიქროთ, რომ ფიფა ციურიხიდან ყველას და ყველაფერს გააკონტროლებს მთელ მსოფლიოში. პრინციპულია ჩემი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საფეხბურთო ასოციაციებმა და კონფედერაციებმა მეტი პასუხისმგებლობა გაიზიარონ აგენტების საქმიანობაზე.

– მაგრამ რეალობაში რამდენად იმუშავებს ეს? მაგალითად, ჰოლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ უკვე განაცხადა, რომ ძალიან ბევრი კონტრაქტისა და სხვადასხვა კომპლექსური დოკუმენტაციის პირობებში შეუძლებელია ყველაფრის კონტროლი. ფიქრობთ, რომ ეს განცხადება ფიფას პოლიტიკის ადეკვატურია?

– წარმოიდგინეთ სიტუაციის მთელი სირთულე, როცა ამას ამბობს თვით ჰოლანდიის საფეხბურთო ასოციაცია – ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული სტრუქტურა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ფიფაში 211 ასოციაციაა და, თუ ამაზე მიდგება საქმე, სრული კონტროლის დასამყარებლად ჩვენ პოლიციური ძალებიც დაგვჭირდება... ეს ხუმრობით, მაგრამ მაშინ რა გზა შეიძლება ავირჩიოთ? დისციპლინარული სანქცია კონკრეტული მხარის მიმართ, ან ამ სანქციების კიდევ უფრო გამკაცრება, თუ წესები მრავალგზის ირღვევა... მაგრამ თქვენ გგონიათ, ეს იქნება საკმარისი? ალბათ, არა, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გზას ვერ ვხედავთ.

– 2016 წლის აგვისტოს მონაცემებით, აგენტების ანაზღაურება იზრდება, საპირისპიროდ ფეხბურთელების ხელფასებისა, რომელმაც აშკარად იკლო. ეს არ არის საგანგაშო ფაქტი?

– განგაშის საფუძველი არ გვაქვს, რადგან ეს შეიძლება ერთჯერადი სტატისტიკა იყოს. კი ბატონო, ეს არის აგენტების შემოსავლების ზრდის ერთგვარი ინდიკატორიც, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამ არის – ეს არ უნდა იყოს ტენდენცია. ამიტომ, სანამ განგაშს ავტეხდეთ, ჯერ უნდა დავაკვირდეთ მოვლენებს და ვნახოთ, რასთან გვაქვს საქმე.

– სხვათა შორის, კვლევებმა აჩვენა, რომ ბევრ სატრანსფერო ოპერაციაში აგენტის როლი არ ფიქსირდება. როგორც ჩანს, დაინტერესებული მხარე შეგნებულად აკეთებს ამას, რათა აგენტების შემოსავალი და სატრანსფერო ოპერაციის რეალური თანხა არ გამოჩნდეს. როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითია?

– ძალიან კარგი კითხვაა. თუ ვიღაც რაღაცას მალავს, ესე იგი, მას აქვს რაღაც დასამალი.

– ჩანს, რომ ბევრია ამ სატრანსფერო ბიზნესში ისეთი, ვინც რაღაცას მალავს.

– მე არ ვიცი, ბევრია თუ ცოტა. თქვენ საიდან იცით, რომ ბევრია? მე კი მგონია, რომ ამ ბიზნესში უმრავლესობა პატიოსანია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა ვეძებოთ კონტროლის ახალი მექანიზმები, არ უნდა გავამკაცროთ არსებული სანქციები... მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ არ ვართ სამართალდამცავი ორგანო.

– საგადასახადო ორგანოებმა გადასახადების დიდი რაოდენობით დამალვის გამო დააჯარიმეს ფეხბურთელები და მწვრთნელები. რატომ ხდება, რომ ფიფას წესები სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული სხვადასხვა ქვეყანაში?

– არა მგონია, რომ ეს ფიფას წესების ბრალია. ყველა იხდის გადასახადს კონკრეტულ ქვეყანაში არსებული სისტემის მიხედვით. რა შუაშია აქ ფიფა? ჩვენ ვერ ვიქნებით პასუხისმგებელნი იმაზე, თუ ვინ იხდის გადასახადს და ვინ – არა. ერთადერთი, რითიც შეგვიძლია დავეხმაროთ საგადასახადო ორგანოებს, ეს გამჭვირვალობაა და ამას აუცილებლად გავაკეთებთ.

– მაგრამ გადასახადების დამალვაში მხილებული არიან ისეთი დიდი საფეხბურთო ფიგურები, როგორებიც არიან ლიონელ მესი, კრისტიანუ რონალდუ, ნეიმარი... როგორ ფიქრობთ, ეს არ უქმნის საფრთხეს ფეხბურთის მთლიანობას?

– ვიღაც არ იხდის გადასახადებს, ვიღაც სწრაფად ატარებს თავის ავტომობილს... ფიფა ვერ იქნება ამაზე პასუხისმგებელი. კიდევ ვიმეორებ – ჩვენ შეგვიძლია და გვსურს კიდეც თანამშრომლობა, როგორც ეს გავაკეთეთ ეგრეთ წოდებული „მესამე მხარის მფლობელობის“ აკრძალვით.

– „მესამე მხარის მფლობელობა“ პრობლემატურია, რადგან ამით შესაძლებელი ხდება კლუბების სატრანსფერო პოლიტიკაში ჩარევა. თქვენ გაქვთ ამის საწინააღმდეგო მექანიზმები?

– არა, ჯერ არა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ...

– ფინანსურ ეფექტს თუ ელოდებით ამ აკრძალვისგან?

– ვფიქრობ, ეფექტი, პირველ რიგში, იქნება იმ მხრივ, რომ თავიდან ავიცილებთ ბევრ უკანონობას, რაც აქამდე იყო. იქნება ფინანსური ეფექტიც, რადგან ის, რაც აქამდე დაფარული იყო, ზედაპირზე ამოვა და გამჭვირვალე გახდება.

– მისტერ ინფანტინო, ხალხს უყვარს ფეხბურთი, მაგრამ სძულს ფიფა...

– დიახ, სამწუხაროდ, ასეა...

– და ამაში მთავარი როლი ითამაშა კორუფციული ფაქტების გამომზეურებამ. რა უნდა გააკეთოს ფიფამ ისეთი, რომ ავტორიტეტი და ნდობა დაიბრუნოს?

– მგონი, უკვე ხედავენ გულშემატკივრები, რომ სერიოზულად და პატიოსნად ვმუშაობთ ფეხბურთის ინტერესების დასაცავად. ფეხბურთი გლობალური ფენომენია და ის ვერ იქნება ჩაკეტილი სისტემა. ჩვენ წავედით გამჭვირვალობის, სამართლიანობის გზით... დანარჩენიც, ნდობის აღდგენა იქნება ეს თუ ავტორიტეტის, მხოლოდ დროის საკითხია.

მოტყუებული ქმარი ცოლის საყვარლისგან ცხრა მილიონამდე დოლარს მიიღებს

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში სასამართლომ 8,8 მილიონი დოლარით დააჯარიმა მამაკაცი, რომელმაც მოსარჩელეს ცოლი წაართვა.

მოსამართლე სპორტსმენისა და კომპანია BMX Stunt Shows-ს მფლობელ კიტ კინგის არგუმენტებს დაეთანხმა, რომელმაც თავისი მეუღლის საყვარელი ფრანცისკო უიზარ III ე.წ. დანაშაულებრივ დიალოგში – დანაშაულებრივ ქმედებებში ამხილა, რომლებიც ზოგიერთ შტატში აკრძალულია. მან უიზერს კინგისთვის ჯარიმის სახით 6,6 მილიონი დოლარის, ხოლო ზარალის ანაზღაურებისთვის 2,2 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

2010 წელს კინგი საკუთარი კომპანიის თანამშრომელზე დაქორწინდა, რომელიც მასზე 15 წლით უმცროსი იყო. მისი მეუღლე დანიელ კინგი ამტკიცებს, რომ მათი ქორწინება ბედნიერი არ ყოფილა. მისი თქმით, მეუღლე პორნოგრაფიით იყო გატაცებული, მას ფულს არ აძლევდა, მის ტელეფონს ყოველგვარი ნებართვის გარეშე ხშირად ამოწმებდა და ასევე უფასოდ მუშაობას აიძულებდა.

2015 წელს დანიელმა ნიუ იორკში გაიცნო უიზარი, რომელიც სადაზღვევო კომპანიის სტენდზე მუშაობდა. რამდენიმე კვირის შემდეგ ქმარმა მათი რომანის შესახებ შეიტყო. მან უიზარის ტელეფონის ნომერს მეუღლის სატელეფონო ანგარიშებში მიაგნო, დაურეკა და მოსთხოვა, რომ მისი მეუღლისთვის თავი დაენებებინა. საყვარელმა მის მოთხოვნას ყური არ ათხოვა და მათ მეზობლად დასახლდა, რათა უფრო ხშირად შეხვედროდა დანიელს. როდესაც ქალი მეუღლესთან ერთად კურორტზე წავიდა, ისიც მათ გაჰყვა.

2017 წლის დასაწყისში დანიელმა ბინა იქირავა და ცალკე გადავიდა საცხოვრებლად. როდესაც კინგი მასთან ბინაში მივიდა, იქ მას უიზარი დახვდა. ქალმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ გამოაძევა მისმა საყვარელმა მისი მეუღლე ბინიდან. ამ დროს კინგი უიზარს ეუბნებოდა: „ის ხომ ჩემი ცოლია!“ შემდეგ კი მეუღლეს მიმართა: „და შენ ჩემს თავს მას ამჯობინებ?“

მოსამართლემ განაჩენის გამოსატანად XVII საუკუნის ნაკლებად ცნობილი კანონებით ისარგებლა, რომლებიც ამერიკის რამდენიმე შტატშია შემორჩენილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 აგვისტოსთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა ხანგრძლივი მოგზაურობისათვის, ასევე მივლინებებისა და ახალი ნაცნობობისათვის. მატერიალური მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. **კურო** – თავს მშვიდად და დაცულად გრძნობთ. გემატებათ ენერგია. ნუ იქნებით ზედმეტად აგრესიული. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება. ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ. პროფესიულ სფეროში შეცდომის დაშვების ალბათობა მაღალია. **კირჩხიბი** – გავლენიანი მფარველის დახმარებით კარიერაში წინსვლა გელით. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი ძლიერდება. დღის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. **ქალწული** – სულიერად გაწონასწორებული ხართ. დღე სასიამოვნო ინფორმაციით იწყება. გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე და აღიდგინეთ ენერგია. **სასწორი** – მოსალოდნელია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ცვლილებები. ნებისმიერ სიტუაციაში საღი აზრის შენარჩუნება გმართებთ. **ღრიანცალი** – გადაღლილი ხართ. დასვენება გჭირდებათ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **მშვილდოსანი** – პრობლემებისადმი არასტანდარტული მიდგომა თქვენი წარმატების გარანტია. ნებისმიერ სიტუაციაში ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – კონფლიქტური დღეა. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა საკმაოდ გეძაბებათ. გამოიჩინეთ კეთილგონიერება სასწრაფოდ განმუხტეთ ვითარება. **მერწყული** – მოგიწევთ როგორც ყოფითი, ისე პირადი პრობლემების მოგვარება. აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თევზები** – ახლობელთან დაკავშირებული არასასიამოვნო ინფორმაცია გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. ნებისმიერ შემთხვევაში პირველ რიგში საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 3. ხელოვნური საერთაშორისო ენა; 4. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. საქორწილო მარშის ავტორი, გერმანელი კომპოზიტორი; 10. დაბალი ხარისხის შაქარი; 11. ნეპალის დედაქალაქი; 12. მდინარე ერევანში; 13. საქართველოს ეროვნული გმირი; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 19. კუთხე საქართველოში; 21. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 24. მოკლე შარვალი.

თარაზულად: 6. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 7. ქართველი პრიმა-ბალერინა; 8. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 9. ნიადაგის დამამუშავებელი მანქანა; 14. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 15. სპარს დამპყრობთა სახელწოდება საქართველოში; 18. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 22. ქართველი მევიოლინე ქალი; 24. შტატი აშშ-ში; 25. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 26. ყაზახეთის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფოკა; 2. ქორქი; 3. ამირა; 4. ბიეფი; 5. ტორერო; 6. კარამელი; 8. ილუმინაცია; 10. გიბრალტარი; 11. მინიატურა; 14. კვაისა; 15. რაბათი; 16. „პეპსი“.

თარაზულად: 1. ფუნქცია; 4. ბოტანიკა; 7. კიური; 9. ბანგი; 12. „ბოჟოლე“; 13. გუაში; 14. „კოდაკი“; 17. „ფაუსტი“; 18. ემანსიპაცია; 19. სარქალი; 20. „ჟიგული“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ურთხელი; 2. ეპისტოლე; 3. აგრონომია; 4. ანორაკი; 5. ბარმაქსიზი; 10. „ბედეგი“; 11. მაჰარაჯა; 12. გეიმერი; 13. „სირტაკი“; 16. ტაბაწყური; 17. „ბენეტონი“; 19. არტანუჯი; 21. ტესლა; 23. „თეთრა“.

თარაზულად: 6. არქიპელაგი; 7. ანაკლია; 8. სენატი; 9. ანდამატი; 14. დიამბეგი; 15. სპილბერგი; 18. ჰიჯრა; 20. „ვედრება“; 22. თითბერი; 24. მელასა; 25. ჩურჩხელა; 26. ტირანა.

„პრაიმ შოუმ“ მესამე სეზონი დახურა

გადაცემა „პრაიმ შოუმ“ მესამე სატელევიზიო სეზონი დახურა. მიუხედავად არაერთი სკანდალური და ხმაურიანი გადაცემისა, მისი წამყვანები მაყურებლის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან და დარწმუნებული არიან, რომ მომავალ სატელევიზიო სეზონზე კვლავ ეთერში იქნებიან და მაყურებელიც არ მოაკლდებათ.

ნოე სულაბერიძე, „პრაიმ შოუს“ ერთ-ერთი წამყვანი:

– „პრაიმ შოუს“ მესამე სეზონიც დასრულდა. სეზონი, რომელმაც კიდევ უფრო მეტად დაგვანახა მაყურებლის კეთილგანწყობა „პრაიმ შოუს“ მიმართ. თითოეული გადაცემა ჩვენთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა მაყურებლის, თქვენ წინაშე და ჩვენც ყოველთვის ვცდილობთ, ეს პასუხისმგებლობა გავამართლოთ. თემები, რომელსაც ვაკეთებთ, ვცდილობთ რომ საინტერესო და აქტუალური იყოს. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გავაშუქოთ ის, რაც თქვენ გაინტერესებთ, ის, რაც თქვენ გაწუხებთ.

რეიტინგი, რომელიც მესამე სეზონში „პრაიმ შოუმ“ დადო, თქვენი დამსახურებაა, რაც ჩვენთვის განსაკუთრებული სტიმულია იმისთვის, რომ არანაკლებ ყურებადი იყოს შემდეგი სეზონიც და ამისთვის თქვენ დიდი მადლობა!

ბიჭებისა და გოგოების არმია კადრს მიღმა თავდაუზოგავად შრომობს იმისთვის, რომ შედეგი დაიდოს, ამიტომ ასევე განსაკუთრებული მადლობა მათ.

ჩვენ არასდროს ვტოვებთ წაუკითხავს თქვენ მიერ გამოგზავნილ არცერთ შეტყობინებას და წერილს, განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მინდა გამოვხატო ემიგრანტების მიმართ, ვისგანაც უამრავი თბილი წერილი მოდის.

ჩვენ ასევე ყოველთვის ვცდილობთ, გავითვალისწინოთ თქვენი შენიშვნები და კარგად გვესმის, რომ კრიტიკაც თუ ხანდახან არსებობს, ის ხშირ შემთხვევაში სასარგებლოა.

არ ვიცი, კიდევ რამდენი ხნის განმავლობაში იარსებებს „პრაიმ შოუ“, მაგრამ ის უკვე ჩემი ცხოვრების ნაწილია და ვამაყობ იმ შემადგენლობით, ვისი მეშვეობითაც მზადდება ყოველი გადაცემა.

ასე რომ, სექტემბრამდე!

ლეილა აბაშიძე 89 წლის გახდებოდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გაზეთში განცხადება ნახა – ფილმისათვის სჭირდებოდათ ცელქი, ანცი გოგონა და მაგ დროს მეც ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი, ჩემთვის არც უკითხავთ, თუ მსურდა გადაღება, მაგრამ აზრიც არ ჰქონდა, რადგან მე ფილმი ნანახი არ მქონდა, რა იყო კინო, საერთოდ არ ვიცოდი. მიმიყვანეს სინჯებზე უშნოდ გაკრეჭილი, ჩაუცმელი, სასაცილო ბავშვი. შევედი ოთახში და როცა დავინახე ოციოდე გოგონა, ერთმანეთზე უკეთესი კულულებით, ბაფთებით, ვიგრძენი, რომ ზედმეტი ვიყავი და სადღაც კედელთან გავჩერდი, ვიცოდი, რომ არ გამოვდგებოდი ამ საქმეში. მოვიდა ასისტენტი და მითხრა: გოგონა, თქვენ თავისუფალი ხართ, წაბრძანდითო. ძველ სტუდიაში ერთი რკინის რიკულებიანი კიბეა, იმას მოვაჯექი ბიჭურად და ბზრიალით დავეშვი ზემოდან, ვღიღინებ რაღაცას და დავეჯახე ვიღაც კაცს. მას გაუკვირდა და მკითხა:

– გოგონა, საიდან მოდიხარო? მე ვუპასუხე, – ზემოდან-თქო.

– იქ რა გინდოდაო? ვუთხარი, რომ კინოში გადაღება მინდოდა, მაგრამ არ მოვეწონე და წამოვედი.

– ძალიან გინდა კინოში თამაშიო? – ვუპასუხე, – ძალიან, ძალიან-თქო და, ეტყობა, იმდენი სურვილი ჩავაყოლე ამ ორ სიტყვაში, რომ მას გაეცინა, მომკიდა ხელი, მითხრა, ჩემთან წამოდიო და თურმე ეს იყო თავად ფილმის დამდგმელი რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი. შემეკითხა:

– და ან ძმა გყავსო? მე ვუთხარი, რომ ორი ძმა მყავდა.

– ძალიან ცუდი ამბავი უნდა გითხრა, შენი ძმა დამუნჯდაო.

– რომელი? – ვიკითხე მე თურმე ისეთი ტრაგიკული ხმით.

– უფროსიო, – მამიდამ უკარნახა და მე წავიშინე თავში ხელი, ვეღარ გამაჩერეს, ვტიროდი, ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა, ბოლოს და ბოლოს დამაწყნარეს და თურმე ეს იყო სინჯები, ასე დამამტკიცეს როლზე.

„ქაჯანას“ სხვა ფილმებიც მოჰყვა, რომლებმაც ლეილა აბაშიძეს დიდი პოპულარობა მოუტანა. საკუთარი წარმატებით აღფრთოვანებული მსახიობი დარწმუნებული იყო, რომ მისი არავის შურდა:

– ახალგაზრდობაში არ ვამჩნევდი, რომ ჩემი შურდათ. მეგონა, ყველას უხაროდა ჩემი წარმატება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა, ბევრმა, ვინც მოკეთე მეგონა, მიმტრო, გზა გადამიღობა... ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლე გასეირნებაა მარადიული ძილის წინ, მე არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც არ აფასებენ სიცოცხლის ყოველ წუთს... მე საკმაოდ მძიმე ცხოვრება გამოვიარე და მუდამ დაუოკებელი სურვილი მქონდა, ბედნიერი ვყოფილიყავი. ეს წყურვილი დღესაც მკლავს...

ბევრი გულისტკივილის მიუხედავად, ლეილა აბაშიძეს მაყურებლის სიყვარული არასდროს აკლდა. სწორედ ამის დასტურია, რომ კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ მისი ვარსკვლავი გაიხსნა. ეს მსახიობისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო:

– როცა კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ჩემი ვარსკვლავი გახსნეს, იმ დღეს მეორედ დავიბადე. ადრე თუ გვიან აღარ ვიქნები ამ ქვეყანაზე და ეს ვარსკვლავი კი, სადაც ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის. მით უმეტეს, რომ ჩემი ვარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის, ნატო ვაჩნაძის, ვარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაყურებელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს, ვისაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვის, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალებით წარდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა, საქართველო ვარსკვლავების ქვეყნად იქცეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იტალიელებმა „განდაგანა“ იმღერეს

აჭარული „განდაგანა“ არა მარტო ქართველებს, არამედ უცხოელებსაც ძალიან მოსწონთ. ამის დასტურია იტალიური ჯგუფი „ფიუუენი“ და მისი სოლისტი.

ანსამბლმა საქართველოში გამართულ კონცერტზე მსმენელს სიურპრიზი მოუწყო და „განდაგანა“ თავისებური ორიგინალური ინტერპრეტაციით შეასრულა.

იტალიური ჯგუფი საქართველოს კარგად იცნობს. მათ შარშან ბათუმში ანიტა რაჭველიშვილთან ერთად კონცერტი გამართეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ШВЕДЕТИС МЕФИС ГВИРГВИНИ ГАИТАЦЕС



შვედეთის ქალაქ სტრენგნესში გაიტაცეს ძვირფასეულობები მეფისა და დედოფლისა, რომლებიც სამეფოს XVII საუკუნის დასაწყისში მართავდნენ.

ორი გვირგვინი, რომლებიც მეფე კარლ IX-ისა და მისი მეორე მეუღლის კრისტინ შლეზვიგ-გოლშტეინ-გოტორპსკის დაკრძალვის დროს იქნა გამოყენებული, სტრენგნესის კათედრალურ ეკლესიაში ინახებოდა, რომელიც ტბა მელარენის მახლობლად მდებარე გორაკზეა აღმართული. ისინი ოქროსგან არის დამზადებული და ბისერებით, მარგალიტებითა და მთის ბროლითაა დამშვენებული.

ძარცვა 31 ივლისს, დაახლოებით შუადღეს მოხდა. ორი ბოროტმოქმედი მივიდა ეკლესიაში, რომელიც დამთვალიერებლებისთვის იყო გახსნილი, ჩაამსხვრიეს ვიტრინა და გვირგვინები აიღეს. როდესაც სიგნალიზაცია ამუშავდა, ქურდები ეკლესიიდან გამოცვივდნენ, გორაკის ფერდობით ტბისკენ დაეშვნენ, ჩახტნენ მათ მომლოდინე ძრავიან ნავში და მიიმალნენ. დანაშაულის თვითმხილველთაგან არავინ დაშავებულა.

პოლიციაში ეჭვობენ, რომ ბოროტმოქმედები ტბების ფართო ქსელის გამოყენებით მიიმალნენ, რომელიც სტოკჰოლმის დასავლეთით მდებარეობს. მათ მოსაძებნად სამდინარო ხომალდები და შვეულმფრენები იქნა გამოყენებული, თუმცა ჯერჯერობით დამნაშავეების დაკავება ვერ მოხერხდა.

– ერთით ნული მათ სასარგებლოდ, – აღიარა შვედეთის პოლიციის წარმომადგენელმა თომას აგნევიკმა. ამავე დროს, ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ დამნაშავეები ასეთი ცნობილი ნივთების გაყიდვას შეძლებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უიშვიათესი ვიოლინო ლომბარდში სასაცილო ფასად ჩააბარეს

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ სომერვილში ლომბარდმა XVIII საუკუნის იტალიელი ოსტატის მიერ შექმნილ ვიოლინოში 50 დოლარი გადაიხადა.

სპეციალისტების შეფასებით, მუსიკალური ინსტრუმენტის ღირებულება, რომელიც 1759 წელსაა დამზადებული ვიოლინოების იტალიელი ოსტატის ფერნანდო გალიანოს მიერ, 250 ათას დოლარს შეადგენს, ანუ 5 ათასჯერ მეტს, ვიდრე მასშია გადახდილი. ლომბარდის მენეჯერის თქმით, მისი მხოლოდ სიმები ღირს 16-18 ათასი დოლარი.

მალე გაირკვა, რომ ვიოლინო ქალაქის ერთ-ერთ მკვიდრს მოპარეს. ამის შემდეგ ინსტრუმენტი მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს. პოლიციამ ჯერ ვერ დაადგინა, თუ როგორ მოხვდა ძვირფასი ვიოლინო იმ ადამიანის ხელში, რომელმაც ის ლომბარდს ჩააბარა. წარსულში მას კანონთან პრობლემები არ ჰქონია.

ვიოლინოს ოსტატი გალიონო ნეაპოლში XVIII საუკუნის დასაწყისიდან მოღვაწეობდა. გალიანოების დინასტიის დამფუძნებელი ვიოლინოს დამზადების ოსტატობას ამადისა და სტრადივარისთან ეუფლებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

აშშ-ის საელჩო ლონდონში აუქციონზე ტუალეტის ქაღალდს ყიდის

ლონდონში ამერიკის საელჩომ აუქციონზე გასაყიდად ათასზე მეტი ტუალეტის ქაღალდის შეკვრა გამოიტანა.

აღწერაში აღნიშნულია, რომ ქაღალდი ახალი და გამოუყენებელია. ლოტის შეძენაზე 21 განცხადება შევიდა. ამასთან, მათი ფასი საბაზრო დაბალია: აუქციონზე ჯერჯერობით შეთავაზება 152 ფუნტ სტერლინგს შეადგენს. ეს იმ დროს, როდესაც მაღაზიაში იმავე რაოდენობის შეკვრა 485 ფუნტი ღირს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკის საელჩოში აღნიშნეს, რომ აუქციონი ყოველწლიური მოვლენაა, რომელიც დიპლომატებს მათთვის გამოუსადეგარ საგნებზე ფულის შოვნის საშუალებას აძლევს.



ტუალეტის ქაღალდი მხოლოდ ერთ-ერთი დასახელებაა მათ შორის, რომლებიც აუქციონზე გასაყიდად არის გამოტანილი. სულ მასზე 41 ლოტია წარმოდგენილი, მათ შორისაა 11 წლის ავტომობილი ვოლვო, ხერხი, მტვერსასრუტები და გატეხილი კამერა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4482

ევრო — 2.8607

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2133

100 რუსული რუბლი — 3.9058

ამინდის პროგნოზი 3 აგვისტოსთვის

90 წლის იუბილესთან დაკავშირებით ნოდარ დუმბაძის მარკა გამოიცა

წელს მწერალსა და პოეტ ნოდარ დუმბაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა. ეს საიუბილეო თარიღი მთელ მსოფლიოში აღინიშნა. უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრები ქართველების სათვისტომოებმა ნოდარ დუმბაძის იუბილეს სხვადასხვა კულტურული ღონისძიება მიუძღვნეს.

მწერლის შვილმა ქეთევან დუმბაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს ფოსტამ ნოდარ დუმბაძის იუბილესთან დაკავშირებით საიუბილეო მარკა გამოუშვა:

– საქართველოს ფოსტისა და ნოდარ დუმბაძის ფონდის თანამშრომლობის შედეგი – საიუბილეო მარკა!

უღრმესი მადლობა საქართველოს ფოსტას თანამშრომლობისთვის და პირადად ლევან ჩიკვაიძეს იდეის ხორცშესხმისთვის.

ალმოჩენა ძალისში

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და ფინანსური უზრუნველყოფით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძალისში სრულდება სამეცნიერო კვლევა-ძიების მე-3 სეზონი, რომელსაც ეროვნულ მუზეუმსა და ვარშავის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ქართულ-პოლონური

არქეოლოგიური ექსპედიცია პროფესორ გოდერძი ნარიმანაშვილის ხელმძღვანელობით ახორციელებს.

ძალისის აკლდამის მიდამოებში 2-წლიანი დაზვერვების შედეგად მიკვლეულ უბანზე მიმდინარე სამუშაოებმა წელს უკვე ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო. კვლევა-ძიების პროცესის შედეგად გამოვლენილია სამი სამარხი და დიდი არქიტექტურული კომპლექსი. გათხრების მნიშვნელოვან აღმოჩენას მიეკუთვნება თიხის ბულა, რომელზეც სასანიანი შაჰი შაპურ IV გამოსახული, ხოლო გამოსახულების გარშემო მოთავსებული არამეული წარწერა კი ამ ბულით დაბეჭდილ წერილობით გზავნილს ეკუთვნის, რომელიც დიდი ალბათობით უშუალოდ შაჰის კანცელარიიდან იყო იბერიის სამეფოში გამოგზავნილი.

არქეოლოგების წინასწარული დასკვნის მიხედვით დიდ არქიტექტურულ ნაგებობაში აღმოჩენილი ბულა, მინის ჭურჭელი, თიხის ჭურჭელი და კრამიტი არქეოლოგიურ კომპლექსს ჩვენი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებით ათარიღებს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნაგებობის მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის გრანდიოზულ და მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს, რაზეც ნაგებობის კედლების ზომები და იქ აღმოჩენილი არტეფაქტები მიანიშნებენ. მეცნიერები არ გამორიცხავენ, არქიტექტურული ნაგებობა სატაძრო კომპლექსს, ან მის ნაწილს წარმოადგენდეს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, სამეცნიერო კვლევა-ძიების სამუშაოები ძალისას კომპლექსზე მომავალ წელსაც გაგრძელდება, რომლის ფარგლებში არქეოლოგებს კიდევ მეტი ისტორიულ-კულტუროლოგიური ინფორმაციის მოპოვების იმედი აქვთ.

ძალისის ნაქალაქარი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძალისში, მუხრანის ველზე მდებარეობს. ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანების ნაქალაქარი გაშენებული ყოფილა მდ. ნარეკვავის ორივე ნაპირზე, მცხეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კილომეტრის დაშორებით.

ნაქალაქარი იდენტიფიცირებულია ქალაქ ძალისასთან, რომელსაც ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის ბერძენი გეოგრაფი კლავდიოს პტოლემაიოსი „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ იბერიის აღწერისას სხვა ქალაქებთან ერთად იხსენიებს.

1971-1995 წლებში ძალისასა და მის მიდამოებში არქეოლოგიურ სამუშაოებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

მოსამართლე განსასჯელს ეკითხება:

– თქვენი ცოლი რომ წყალში იხრჩობოდა, რატომ არ გადაარჩინეთ?

– რა ვიცოდი თუ იხრჩობოდა, ის ჩვეულებრივ ყოველთვის მასე ღრიალებდა.

●●●

ლექტორი ერთ-ერთ სტუდენტს ეკითხება:

– თქვენ რომელიმე საყვარელ მწერალთან გასაუბრების საშუალება რომ გქონდეთ, რომელს აირჩევდით, გარდაცვლილს თუ ცოცხალს?

– ცოცხალს...

●●●

პროგრამისტს მეგობარი ეკითხება:

– შენი შვილები გამუდმებით რატომ კამათობენ?

– ვერსიების კონფლიქტია.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორაა საქმე? რა არის ახალი?

– ცოლს დავშორდი.

– რატომ?

– სამი დღის წინ ვურეკავ და ვეუბნები: ასე და ასე, ჩემი ბიზნესი ჩავარდა...

– მერე?

– ვბრუნდები სახლში და ვხედავ, მისი კვალიც აღარაა, ტანსაცმელიც კი ერთიანად წაუღია.

– კი მაგრამ, არაფერი მოიმოქმედე?

– რაში მჭირდება ისეთი ქალი, იუმორის გრძნობა რომ არ გააჩნია.

●●●

გოგონა ხიდზე დგას და აშკარად თავის მოკვლას აპირებს. ამ დროს მასთან მაწანწალა მივა და ეუბნება:

– გოგონი, რადგან მაინც თავის მოკვლას აპირებ, იქნებ ჩემთან დაწოლილიყავი? რამდენი ხანია, ქალთან არ ვყოფილვარ!

– რაა? ერთი საკუთარ თავს შეხედე, რას ჰგავხარ? ჭუჭყიანი, ბინძური, აყროლებული! არა! არა და არა! გაეთრიე!!!

– კარგი, კარგი, მივდივარ. ქვევით დაგელოდები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

ლეილა აბაშიძე 89 წლის გახდებოდა

ქართული კინოს მსახიობი ლეილა აბაშიძე 89 წლის გახდებოდა. რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილი მსახიობი მისმა კოლეგებმა და გულშემატკივრებმა გაიხსენეს.

ლეილა აბაშიძემ მთელი ცხოვრება კინოს მიუძღვნა. მსახიობობას რეჟისორობა და სცენარისტობაც შეუთავსა და რამდენიმე ფილმი გადაიღო. სიცოცხლის ბოლომდე ფილმში მონაწილეობაზე ოცნებობდა. მუშაობდა სცენარზე, რომლის მიხედვითაც ფილმის გადაღებას აპირებდა, თუმცა ავადმყოფობამ არ აცადა.

კინო მისთვის ყველაფერი იყო. მსახიობი თავის პირველ შეხებას კინემატოგრაფთან ყოველთვის სიამოვნებით იხსენებდა:

– პირველად ეკრანზე გამოვჩნდი ფილმში „ქაჯანა“, სადაც კატოს როლს ვასრულებდი და პარტნიორობას ვუწევდი ნატო ვაჩნაძეს. ვიყავი 8 წლის, ქართული არ ვიცოდი, რადგან დაწყებითი განათლება რუსეთში მქონდა მიღებული და ახალი ჩამოსული ვიყავი საქართველოში ციმბირიდან. ჩემი მამიდა სიხარულით მეუბნებოდა, რომ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ვაჟა მანია ამერიკულ კონკურსში მონაწილეობს

„ჯეოსტარის“ მონაწილემ, ჯაზის მომღერალმა ვაჟა მანიამ ბერკლის სასწავლებელი წითელ დიპლომზე დაამთავრა და საცხოვრებლად ამერიკაში დარჩენა გადაწყვიტა.

ქართველი მომღერალი ერთ-ერთ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობს, რომელშიც გამარჯვებას მხოლოდ მხარდამჭერთა მიერ ხმის მიცემის შემდეგ შეძლებს, ამიტომაც ვაჟამ თავის მრავალრიცხოვან არმიას ინტერნეტში თხოვნით მიმართა:

– ხმის მიცემის ამოწურვამდე დარჩა რამდენიმე დღე. სურვილისამებრ შეგიძლიათ მისცეთ ხმა ჩემ მიერ შესრულებულ სიმღერებს.

თქვენი ერთი ხმა ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი წარმატება იქნება ამერიკაში, რომელსაც აუცილებლად ძალიან დიდში გადავზრდი ჩემი კარიერისა და ქვეყნის სასიკეთოდ!

ხიდს ერთი ადამიანი ვერასოდეს ააშენებს, მაგრამ ერთ ადამიანს შეუძლია, ნახაზი შექმნას ისეთი, რომ ისტორიას დარჩეს...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 2. დაქირავებული კავალერი; 4. ქართული რადიო; 5. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 6. აეროპორტი მადრიდში; 7. უნივერსიტეტი ინგლისში; 10. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 12. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 13. რძის პროდუქტი; 16. პატარა მოთხრობა; 17. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 19. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 21. სევანის ტბის ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 3. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმეს წარმატებით შესრულებას; 8. ზღაპრული შინაარსის ლექსი; 9. ქართული ცირკის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 11. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 12. თავაშვებული ლხინი, ქეიფი; 14. მსახიობების მოსამზადებელი სკოლა; 15. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 20. ტბა გერმანია-შვეიცარიის საზღვარზე; 22. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 23. პურეული მცენარე; 24. „ილიადას“ პერსონაჟი, ტროას ომის გმირი; 25. უბანი თბილისში; 26. ქართული სამშენებლო კომპანია; 27. სპორტის სათამაშო სახეობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა